ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge



**პატრიარქი: „ხანდახან ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ქვეყანას“**

გვ.4

**8 მარტიდან**

60 ამბავი **უცხოეთში დაკარგული ქართველები**





ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

შაბათი – კვირა, 10 – 11 მარტი, 2018 №58 (7603) ფასი: 50 თეთრი

# „ივანიშვილმა რუსეთიდან გარანტიები მიიღო“



## კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ რუსეთთან მიმართებით მონურ კურსს ატარებს“

გვ.3

„მეუფეების ნაწილი მაღე ეhთნაიhსქესიანთა ქოhნინებას ღაუჭეhს მხაhს"



## „გადავდგათ გონივრული ნაბიჯები“ – კვირიკაშვილმა რუსეთს მიმართა



გვ.2



გვ.2

## „კვირიკაშვილმა ამ მხდალი განცხადებით დაამტკიცა, რომ პრემიერი არ უნდა იყოს“

ლევან ბერძენიშვილი: „რუსეთი აგრესორია და მას არაფერი არ უნდა დავუთმოთ“

### სამართალი

გვ.4





ქუთაისში სამხედრო სამსახურის შენობაში ხანძარი გაჩნდა





რუსთავში ბუნებრივი აირის ნამწვით ოთხი ადამიანი მოიწამლა

პანკისის ხეობაში 23 წლის ქალი დაიჭრა









1 გარდაცვლილი და 6 დაშავებული – ავარია ქუთაისში

### ეკონომიკა

გვ.6

იპოთეკით დატვირთულ ქონებას ბანკები 3 წელი ვერ გაყიდიან



დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების მაჩვენებელი 4-ჯერ გაიზარდა









სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება მზარდ ტრენდს ინარჩუნებს

„მარცვლეულის გამყიდველები საგადასახადო დოკუმენტაციას აყალბებენ“



ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** პუტინის მრჩეველი ცხინვალს დაკარგული ოსების მოძებნაში დახმარებას ჰპირდება

**5** საზმაუში 170 ახალი თანამშრომლიდან კონკურსით მხოლოდ 3 აიყვანეს, მათ შორის ერთი მაღლაფერიძეა

**4** საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსანმა ქალზე იძალადა – სტრასბურის სასამართლოში საჩივარი შედის

**5** კალაძე: „ავტობუსიდან იმ ადამიანების ჩაგდება, რომლებიც იქ ღამეს ათევენ, არ შეიძლება“

# „გადავდგათ გონივრული ნაბიჯები“ — კვირიკაშვილმა რუსეთს მიმართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ცხინვალში, არჩილ ტატუნაშვილის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების საკითხზე მორიგ განცხადებას ავრცელებს.

მთავრობის მეთაური მიმართავს რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებას, „დღევანდელი დღისა და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, გადავდგათ ერთობლივი ნაბიჯები აღნიშნული რთული ვითარების დასაძლევად“.

„მიმდინარე წლის აგვისტოში 2008 წლის ომიდან ათი წელი შესრულდება. ამ დრამატულმა მოვლენამ ღრმა კვალი დატოვა ქართველი ხალხის ცნობიერებასა და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობებში.

გაწყვეტილია დიპლომატიური კავშირები. მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებამ ფაქტობრივად ჩიხში მოაქცია ნორმალური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დამყარების პერსპექტივა.

ამჟამად ჩვენს წინაშე არის არჩევანი — აღნიშნულ თარიღს შევხვდეთ ურთიერთბრალდებებითა და მწვავე განცხადებებით, რომელთა ნაკლებობა ამ წლების განმავლობაში ნამდვილად არ იყო, ან გადავდგათ გონივრული, თუნდაც მცირე ნაბიჯები ამ მოჯადოებული წრიდან ჩვენი ურთიერთობების გამოსაყვანად.

ჩვენ ადრეც განვაცხადეთ და კვლავ ვადასტურებთ, რომ დაინტერესებულნი ვართ მივაღწიოთ რეალურ პროგრესს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პროცესში, რისთვისაც დავადასტურე ჩემი პირადი ჩართვის მზაობა. მზად ვართ ასევე, პირდაპირი დიალოგისათვის აფხაზებთან და ოსებთან და მისასალმებელი იქნებოდა ამ თვალსაზრისით რუსეთის მხარის რეალურად კონსტრუქციული მიდგომა. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლად მიგვაჩნია სხვა გონივრული ნაბიჯების გადადგმაც.

სამწუხაროდ, დღეს რთული რეალობის წინაშე ვდგავართ. ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აღვადგინეთ, მაგრამ ტრაგიკული მოვლენების ჯაჭვი დღესაც გრძელდება. ეს ძირს უთხრის ქართულ-რუსულ ურთიერთობათა მოწესრიგების პერსპექტივას. ამის ბოლო ტრაგიკული მაგალითია ორი კვირის წინ, ცხინვალში გაურკვეველ ვითარებაში ჩვენი მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის სიკვდილი, რომლის ცხედრის გადმოცემაც კი, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების, კათოლიკოს-პატრიარქისა და საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთი მცდელობისა, აქამდე ვერ მოხერხდა ოჯახისათვის.

მივმართავ რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებას, რათა დღევანდელი დღისა და მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, გადავდგათ ერთობლივი ნაბიჯები აღნიშნული რთული ვითარების დასაძლევად“, — ნათქვამია პრემიერის განცხადებაში.

# მედოევმა კვირიკაშვილს დასცინა



## „როგორ უშლის ხელს რუსეთი საქართველოს ხელისუფლების დიალოგს კახეთის ან ნახალოვკის ოსებთან?“

აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის მზაობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით ნეტგაზეთი ოსურ მხარეს, კერძოდ, დე ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, დიმიტრი მედოევს დაუკავშირდა და კვირიკაშვილის განცხადება გააცნო.

— ჩემი აზრით, საკმაოდ უცნაური განცხადებაა. თუმცა, მე არ მაქვს სურვილი მისი კომენტირების, ვინაიდან ის არ არის სამხრეთ ოსეთის მისამართით და, შესაბამისად, ჩვენთან მას არანაირი კავშირი არ გააჩნია.

მეორე საკითხია, რამ უბიძგა ბატონ კვირიკაშვილს, ასეთი ნაბიჯი გადაედგა? თუმცა გვერდიდან ეს ყველაფერი საკმაოდ სახალისოდ გამოიყურება: საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელი პირი მიმართავს რუსეთის ხელისუფლებას („ოკუპანტ“ ქვეყანას), რათა მან („ოკუპირებულ“) აფხაზებსა და ოსებს „ჰოუმლენდთან“, საქართველოსთან პირდაპირი დიალოგის ნება დართოს. გაუგებარია, როგორ უშლის ხელს რუსეთი საქართველოს ხელისუფლების დიალოგს კახეთის ან ნახალოვკის ოსებთან? ალბათ, იქ ისინი აღარ დარჩნენ, უკომენტაროდ.

მესამე — საერთოდ გაუგებარი იქნებოდა, თუკი საქართველოს პრემიერი უყურადღებოდ დატოვებდა სამხრეთ ოსეთში დაკავებული და დაღუპული მოქალაქე ტატუნაშვილის თემას. ის ამბობს, რომ „ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რაც ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების პერსპექტივას საფუძველშივე ძირს უთხრის“. ესეც უკომენტაროდ. უფრო მეტიც, კვირიკაშვილი რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელმძღვანელობას მოუწოდებს [ხაზს ვუსვამ], მოუწოდებს! გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე“. გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა! ესეც უკომენტაროდ. იქნებ აქ რაღაც შეცდომაა (მექანიკური), რომელიც განცხადების ტექსტში იპარება. ვგულისხმობ სიტყვას „მთელი“ პასუხისმგებლობა“, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლექსიკონით აქ უნდა იყოს სხვა სიტყვა — „საკუთარი“ პასუხისმგებლობა“, — განუცხადა მედოევმა ნეტგაზეთს.

# პუტინის მრჩეველი ცხინვალს დაკარგული ოსების მოძებნაში დახმარებას ჰპირდება



რუსეთის საპრეზიდენტო საბჭოს წარმომადგენელი, ადამიანის უფლებების დაცვის მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი, ალექსანდრე ბროდი, დე ფაქტო რესპუბლიკის მოქალაქეებს დაკარგული ნათესავების მოძებნაში დახმარებას ჰპირდება.

ამის შესახებ მან სააგენტო ,,სპუტნიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, დღეს სიტუაცია შეცვლილია და ამიტომ საჭიროა, ნათესავებმა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართონ:

— სიტუაცია იცვლება, საქართველო უფრო ღია ხდება. ამიტომ საჭიროა, დაკარგული ნათესავების მოსაძებნად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართონ, — ციტირებს ბროდის სიტყვებს რუსულენოვანი გამოცემა ,,სპუტნიკი“. ამავე წყაროს ცნობით, ბროდი უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ნათესავებს ამ საქმეში დაეხმარება.

8 მარტს ცხინვალში 90-იან წლებსა და 2008 წლის ომის დროს დაკარგული და დაღუპული მოქალაქეებისა და მებრძოლების ნათესავები შეიკრიბნენ. ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ისეთივე რეაგირებას მოითხოვდნენ, როგორიც გარდაცვლილ არჩილ ტატუნაშვილის შესახებ, გამოხატეს. არჩილ ტატუნაშვილი 23 თებერვალს ცხინვალის იზოლატორში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ცხედარი, ექსპერტიზის ჩატარების მოტივით, ამ დრომდე საქართველოს ხელისუფლებისთვის არ გადაუციათ.

ქართლი.გე

# „კვირიკაშვილმა ამ მხდალი განცხადებით დაამტკიცა, რომ პრემიერი არ უნდა იყოს“

ნათია ხურცილავა

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პრემიერის რუსეთისადმი გაკეთებულ მიმართვაზე საუბრობს.**



## ლევან ბერძენიშვილი: „რუსეთი აგრესორია და მას არაფერი არ უნდა დავუთმოთ“

***— ბატონო ლევან, პრემიერმა კვირიკაშვილმა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას განცხადებით მიმართა არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემასთან დაკავშირებით. ამ განცხადებას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. თქვენ როგორ აფასებთ?***

— პრემიერის ამ განცხადებას საერთოდ აზრი არ აქვს, რადგან არ იცის, რას ამბობს. მავნე განცხადებაა. ეტყობა, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ტატუნაშვილის ცხედრის გადმოუცემლობის გამო, მაგრამ იმის გამო, რომ პრემიერ-მინისტრი უხერხულ მდგომარეობაშია, იმის გამო, რომ მას აქვს თუ არ აქვს პასუხი, საქართველოს სახელმწიფო ვერაფერს დათმობს. საქართველოს რუსეთთან დასათმობი არაფერი აქვს. რუსეთი არის ოკუპანტი სახელმწიფო და ოკუპანტთან რა მოლაპარაკებაზე შეიძლება ან რა დათმობაზე შეიძლება იყოს საუბარი?!

ასეთ დროს, ამ ტიპის განცხადება, სადაც დამფრთხალი, შეშინებული პრემიერი ჩანს, ქვეყნისთვის საზიანოა. ამ განცხადებით პრემიერმა აღიარა უსუსურობა, რომ ის ამ პრობლემას ვერ აგვარებს. ამიტომ, პრემიერს ასეთი განცხადება არ უნდა გაეკეთებინა. მე მგონი, რომ პრემიერმა კვირიკაშვილმა დაადასტურა, რომ ის არ უნდა იყოს ქვეყნის პრემიერი.

პრემიერის განცხადებას წინ საქართველოს პატრიარქის წერილი უსწრებდა. საქართველოს პატრიარქმა რუსეთის პატრიარქს წერილი მისწერა, რაც თავისთავად შეცდომა იყო, რადგან რუსეთის პატრიარქმა გვითხრა, რუსეთის მთავრობას დაელაპარაკეთ, მე ნუ გამრევთო. დაგვცინა.

სამწუხაროდ, ყველგან არაკომპეტენტურობა და უსუსურობა ჩანს. სახელმწიფო არსად არ ჩანს. ყველგან მხოლოდ თავის გადარჩენისა და თავის გამოჩენის სურვილი ჩანს.

***— პრემიერი თავის განცხადებაში ერთობლივი ნაბიჯების გადადგმაზე საუბრობს არსებული რთული ვითარების დასაძლევად.***

— ყველამ იცის, ვინ არის რუსეთი. რა უნდა დავუთმოთ რუსეთს — უნდა ვაღიაროთ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობა?! თუ რა ხდება, გვითხრას პრემიერმა, რაზეა საუბარი?! როგორ ბედავს რუსეთთან რამე დათმობაზე ლაპარაკს?!

***— ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გზების ძიებაზეა საუბარი.***

— ჩვენ გვყავს საერთაშორისო მეგობრები, რომლებიც გვეუბნებიან, გვირჩევენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს შევუერთდეთ. კითხვას ვსვამ: რატომ არ ვუერთდებით?! არ ვუერთდებით იმიტომ, რომ გვეშინია და მაშინ რა მოლაპარაკებაზეა საუბარი.

***— ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს, რა ნაბიჯი უნდა გადადგას?***

— საერთაშორისო სანქციებს უნდა შევუერთდეთ! აი, რა უნდა გააკეთოს საქართველოს პრემიერმა ამ განცხადების ნაცვლად. მოგერინი გვეუბნება, რომ შევუერთდეთ სანქციებს, მაგრამ ჩვენ არ ვუერთდებით.

***— პარლამენტის რეზოლუციასთან დაკავშირებითაც მინდა გკითხოთ. როგორც ჩანს, ტექსტი ჯერ ბოლომდე არ არის შეთანხმებული. როგორი უნდა იყოს ეს რეზოლუცია?***

— რეზოლუციების ტექსტშიც ჩანს ხელისუფლების სიმხდალე. ვერ ბედავენ მკვეთრი რეზოლუციის მიღებას და სანქციებთან მიერთებას როგორ გაბედავენ. არადა, რუსეთის ხელისუფლებასთან დათმობების გზით შორს ვერ წავალთ, რუსეთი ოკუპანტია, ჩვენი ტერიტორიები დაპყრობილი აქვს და რა უნდა დავუთმოთ. საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მტკიცე პოზიცია და რეზოლუცია პარლამენტის უმცირესობასთან ერთად უნდა მიიღოს.

***— სანქციებს უნდა შევუერთდეთ?***

— დიახ! უნდა მივუერთდეთ იმ სანქციებს, რომელთაც ევროპის კავშირი გვთავაზობს. საერთოდ, პრემიერის პირადი გადასაწყვეტი არ არის, რა გზით ივლის საქართველო, გვითხრას, რა დათმობაზეა საუბარი და შემდეგ ჩვენ ვიმსჯელებთ, დავტოვოთ თუ არა ისინი ხელისუფლებაში. ქვეყანას ვერ მართავენ, მაგრამ ხალხი ირჩევს და ირჩევს, თანაც უმრავლესობით. თუ ეს ხელისუფლება არის „რუსეთთან დათმობების ხელისუფლება“, მაშინ ეს განუცხადონ ქართველ ხალხს, დანიშნონ ხელახალი არჩევნები და გადაწყვეტილებას ქართველი ხალხი მიიღებს. ეჭვი რომ არ იყოს, რომ რუსეთუმეების ხელისუფლებაა, მტკიცედ გვითხრან, რას აპირებენ.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ პოლიტიკით „ომი გვიჭირავს“. თქვენ ფიქრობთ, რომ ამ პოლიტიკამ კრახი განიცადა?***

— რა თქმა უნდა. ამ პოლიტიკამ კრახი განიცადა. კიდევ ერთი საკითხი, ხელისუფლებამ თავის მოქალაქეებს უნდა მიხედოს და ჩვენი მოქალაქეები იქ არ უნდა აღმოჩნდნენ, სადაც არ უნდა აღმოჩნდნენ. არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ჩვენი მოქალაქეები არ უნდა შევიდნენ და უნდა გავაკონტრო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილმა რუსეთიდან გარანტიები მიიღო“

## კახა კუკავა: „ქართული ოცნება“ რუსეთთან მიმართებით მონურ კურსს ატარებს“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მთავრობის მეთაურმა რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყების სურვილი გამოთქვა. ამ განცხადებას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. უმეტესობა კვირიკაშვილის შეთავაზებით უკმაყოფილოა.

მთავრობის მეთაურის შეთავაზებას უარყოფითად აფასებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა. მისი აზრით, „ქართული ოცნება“ რუსეთის მიმართ მონურ კურსს ატარებს.

რის სანაცვლოდ აღარ უქმნის საქართველო პრობლემებს რუსეთს, რა გარანტიები მიიღო ივანიშვილმა მოსკოვიდან, რატომ ალაპარაკდა პრემიერი დიალოგის აუცილებლობაზე, რა ხდება საპატრიარქოში? – ამ თემებზე კახა კუკავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**კახა კუკავა:**

– მას შემდეგ, რაც პატრიარქმა მოსაყდრედ დაასახელა მეუფე შიო, გაჩნდა იმედი: ახალგაზრდა, განათლებული და გაწონასწორებული მეუფე, რომელიც არასოდეს ყოფილა მხილებული რაიმე უღირს ქმედებაში, დაიწყებდა უკვე მომწიფებულ რეფორმებს ეკლესიაში.

პარალელურად დაიწყო ძალიან ინტენსიური პროცესი: ზუსტად ის მეუფეები, რომლებზეც ლიბერალური მედია წლების განმავლობაში აგროვებდა და აქვეყნებდა კომპრომატებს, ამხელდა მათ კორუფციაში, მევახშეობასა და სხვა მომაკვდინებელ ცოდვებში, უეცრად გახდნენ იმავე მედიის საყვარელი რესპონდენტები, ბოლო 3 თვეში 3-ჯერ მოიარეს ვაშინგტონი (მოილოცეს აშშ კონგრესი, სახელმწიფო დეპარტამენტი და საადმირალოც კი). მათ წინააღმდეგ მხილების კამპანია კი შეწყდა.

***– თქვენი აზრით, რატომ შეწყდა ეს კამპანია?***

– იმიტომ, რომ სპეცოპერაციამ თავისი შედეგი გამოიღო. საპატრიარქოს წინააღმდეგ კი სპეცოპეარცია მიმდინარეობს. ასეთი სპეცოპერაციები მაფიოზების შესახებ ფილმებში მინახავს – დააშანტაჟებენ ადამიანებს და შემდეგ გააკეთებინებენ თავიანთ საქმეს.

ეპისკოპოსების ნაწილის წინააღმდეგაც ასეთი გეგმა გამოიყენეს. წლების განმავლობაში მათზე ათასი სიბინძურე ვრცელდებოდა. მოულოდნელად მათთვის გამოინახა ფინანსები და ათას რამეში მხილებული ეპისკოპოსები ამერიკაში წავიდნენ. ამერიკაში ისინი იქაური ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ეს გვაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ ამ ვიზიტებში ვაშინგტონი აქტიურად არის ჩართული.

ის სასულიერო პირები, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან ჩემთვისაც მიუღებელი, ძალიან ორთოდოქსული ენით საუბრობდნენ, ახლა მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდნენ, ლამისაა ტრანსგენდერების აქციაში მიიღონ მონაწილეობა – დიამეტრულად შეიცვალეს პოზიციები. განსაკუთრებით საინტერესოა ხოლმე აეროპორტში გადაღებული კადრები – ვხედავთ, გორგოლაჭებიანი ჩემოდნებით როგორ მიცუხცუხებენ ვაშინგტონში. მხარზე გადაიკიდონ ჩანთა და ბარემ თავისუფლების ინსტიტუტის მოდაზე მოეწყონ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო კომენტარი გააკეთა ლიბერალური ფრთის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. მისი აზრით, ის, რომ ეპისკოპოსები დასავლეთის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ, საკმარისი არ არის და ასეთივე დამოკიდებულება უნდა დააფიქსირონ ლიბერალური ღირებულებების მიმართ.

***– თქვენი აზრით, გამოიჩენს სასულიერო პირების ნაწილი ლიბერალური შეხედულებების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას?***

– არ არის გამორიცხული. დიდი ალბათობით, შემდეგი ნაბიჯი იქნება ეს. მეუფეების ნაწილი იტყვის, რომ აუცილებელია ანტიდისკრიმინაციული კანონი, ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია. ეს იქნება ჩვენი ეკლესიის ნგრევის დასაწყისი.

არ მივეკუთვნები იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეკლესია უცოდველია. ამ ინსტიტუტისა და ცალკეული სასულიერო



## „მეუფეების ნაწილი მალე ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დაუჭერს მხარს“

პირების მიმართ ბევრი კითხვა მაქვს, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, უბრალოდ პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა არ არის. ეს არის მცდელობა, მთლიანად ეკლესიის კურსი და ფასეულობები შეცვალონ. თუ დღემდე ეკლესია ითვლებოდა ტრადიციული ფასეულობების მხარდამჭერად, ახლა ის ლიბერალური ღირებულებების მხარდამჭერად უნდა იქცეს.

ვინაიდან ამის გაკეთება პირდაპირ საზოგადოებისთვის მიუღებელი იქნებოდა, მათ ტრადიციულ ღირებულებებს პრორუსული კურსი დაარქვეს, ლიბერალურ ღირებულებებს – პროდასავლური.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცენტრალური მედია ქექავს ამ საკითხს, მეუფე შიოსთან დაკავშირებით ბევრი ვერაფერი ამოქექეს, ვერსად ნახეს მისი პრორუსული კურსის მხარდამჭერი განცხადებები, ვერ ამოქექეს კავშირები რუსეთთან.

***– მის მთავარ კომპრომატად ლევან ვასაძე ითვლება.***

– ეს სასაცილო არგუმენტია. მეუფე შიოსა და ლევან ვასაძის მეგობრობის დასტურად მოაქვთ ის ფოტო, რომელიც სკოლის პერიოდში აქვთ გადაღებული. თქვენ ჩემი კურსელების ფოტოები რომ ნახოთ, გადაირევით – ნახევარი ნაციონალებშია, ნახევარი – „ქართულ ოცნებაში“. ნიკა გვარამიასთან და გედი ფოფხაძესთან მაქვს ფოტოები გადაღებული და ნაციონალი ვარ თუ მეოცნებე? ასე რომ, სკოლის პერიოდში გადაღებული ფოტოს რაღაცის დასამტკიცებლად გამოყენება არასერიოზულია.

ანდა მეუფე შიო ლევან ვასაძესთან მართლაც რომ მეგობრობდეს, რა მოხდა? ჩვენ უკვე ფაშისტები და ბოლშევიკები გავხდით? ვინმემ ამიხსნას, რატომ ითვლება ვასაძესთან მეგობრობა პრორუსულობად. ეს არის ტოტალიტარული სიგიჟე და მნიშვნელობა არა აქვს, მას პრორუსული საფუძველი ექნება თუ პროდასავლური.

როდესაც მეუფე შიოს პრორუსულობას აბრალებენ, წარმოადგინონ სათანადო დოკუმენტები, გვაჩვენონ, სად და როდის გაამართლა მან რუსული ოკუპაცია. ლევან ვასაძესთან მეგობრობა კომპრომატი არ არის. სხვათა შორის, არც ვასაძისგან მომისმენია რუსული ოკუპაციის ქება. აქვე ვიტყვი, რომ მისი მხარდამჭერი არა ვარ და ბევრ რამეში არ ვეთანხმები.

***– რატომ არ მოგწონთ ვასაძე?***

– მიმაჩნია, რომ ზედმეტად ორთოდოქსულია მისი მოსაზრებები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის პრორუსულია და ოკუპაციას ამართლებს.

***– საპატრიარქოდან და ოკუპაციიდან ჩვენს საერო ხელისუფლებაზე გადავიდეთ. ჩვენი მთავრობის მეთაურმა გიორგი კვირიკაშვილმა რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყების სურვილი გამოთქვა.***

– მართალი რომ გითხრათ, კვირიკაშვილზე ხან ვბრაზდები, ხან მეცოდება. რაღაცნაირად ვგრძნობ, რომ მთავარი დამნაშავე ის არ არის. ის ერთგვარ ნარმანიად ჩამოყალიბდა, რომელიც არც არაფერს აშავებს, მაგრამ არც არაფერს აკეთებს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პრემიერი გვარად კვირიკაშვილია. როდესაც ასეთი ადამიანი ქვეყნის მთავრობის მეთაურია, ის რაღაცას მაინც აშავებს.

ყველა მისი განცხადება სისულელეა. პრემიერს ვურჩევ, ყველა იმიჯმეიკერი გაყაროს და პრესსამსახური თავიდან ბოლომდე დაითხოვოს. მისი გარემოცვა საზოგადოებას ერთმანეთზე უარეს განცხადებებს აწვდის.

ცოტა ხნის წინ გვამცნეს, რომ კვირიკაშვილი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ესაუბრა.

ზვიად გამსახურდიას დროს (ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებამდე) საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა პრეზიდენტი ნიქსონი; შევარდნაძის დროს – სახელმწიფო მდივანი ჯეიმზ ბეიკერი; სააკაშვილის დროს – პრეზიდენტი ბუში; კვირიკაშვილს ტელეფონზე ესაუბრა სახელმწიფო მდივნის თანაშემწე.

კარგით რა, ხალხო, მე ვინ ვარ, მაგრამ მეც კი არ დამიპიარებია, როცა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს შევხვდი. პრემიერმა ეს არ უნდა დააპიაროს, იმიტომ რომ სირცხვილია, იმდენად არა კვირიკაშვილის, რამდენადაც – ქვეყნის. სირცხვილი იყო ისიც, ოფიციანტივით ფეხზე დამდგარმა ტრამპთან რომ გადაიღო ფოტო.

ახლა რაც შეეხება რუსეთის მისამართით გაკეთებულ განცხადებას, ეს არის იმ კურსის შედეგი, რომელსაც 5 წელია, საქართველო ატარებს. ყველასთვის ცნობილია, რომ კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი იმ კურსისა, რომელსაც სააკაშვილი ატარებდა. ეს იყო აგრესიული, კონტრპროდუქტიული კურსი, მაგრამ კურსი იყო.

კურსი, რომელიც საქართველომ ბოლო 5 წელია, რაც აირჩია, იმაზე უარესია, ვიდრე ნაციონალების კურსი. „ოცნების“ არჩეულ კურსს შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ კაპიტულანტური კურსი.

***– კაპიტულანტური რატომ?***

– მოგახსენებთ. რუს პოლიტოლოგებთან და ექსპერტებთან დღემდე მაქვს კონტაქტები. სააკაშვილის დროს მათ ჰქონდათ გარკვეული მოტივაცია, რომ სააკაშვილის პიარისთვის რაღაც დაეპირისპირებინათ. ტატუნაშვილის მსგავსი შემთხვევა სააკაშვილის დროს რომ მომხდარიყო, ამაზე ის ძალიან დიდ შავ პიარს აუგორებდა რუსეთს. მოსკოვი ყველაფერს გააკეთებდა, რომ მისთვის ასეთი შანსი არ მიეცათ.

დღეს, სამწუხაროდ, სულ სხვა სიტუაციაა. რუსეთი საქართველოს ისე ექცევა, როგორც ღამის ეკონომიკის თანამშრომელს. გინდა შეაგინე, გინდა პანღური ამოარტყი, გინდა შეაფურთხე, მაინც ყველაფერს იტანენ.

პრემიერის განცხადება იყო სასოწარკვეთილების კივილი – საინფორმაციო სააგენტოებით გამოქვეყნებული განცხადებებით არ უნდა გვიხდებოდეს ტატუნაშვილის ცხედართან დაკავშირებული კრიზისის მოგვარება.

***– თავად რუსეთთან დიალოგზე რას ფიქრობთ, რაზე უნდა ველაპარაკოთ მოსკოვს?***

– არა მგონია, ცხედრის გადმოცემა იყოს დიალოგის თემა. ეს არ არის პოლიტიკური საკითხი. ის, რომ ცხედარს არ გვიბრუნებენ, საქართველოს მიმართ მათ დამოკიდებულებას ასახავს – თავზე გვაფურთხებენ. ისრაელი და პალესტინა ერთმანეთთან ბევრად უფრო მწვავედ არიან დაპირისპირებული, ვიდრე საქართველო და რუსეთი, მაგრამ, იქ რომ დამდგარიყო ცხედრის გადაცემის საკითხი, ერთმანეთს დაურეკავდნენ და კაცურად დაელაპარაკებოდნენ.

***– ჩვენ არ შეგვეძლო, რუსებისთვის კაცურად დაგვერეკა?***

– როგორ უნდა დაგვერეკა? დღეს საქართველოს მთავარი პრობლემა არის ის, რომ ქვეყანას კურიერები განაგებენ. საქართველოს დღეს ჰყავს კურიერების მთავრობა. „ქართულ ოცნებაში“ არის ვინმე ისეთი, რომელიც ლავროვს მაინც დაურეკავს? პუტინზე აღარაფერს ვამბობ.

როგორ გგონიათ, კვირიკაშვილის ეს განცხადება რატომ გამოქვეყნდა? რეკეს, რეკეს ლავროვის მისაღებში. აშშ-ში სახელმწიფო მდივნის თანაშემწე თუ ელაპარაკა, აქ ლავროვის თანაშემწეც არ დაელაპარაკა. აი, ამიტომ გამოაქვეყნა პრემიერმა განცხადება. დარწმუნებული ვარ, ასეთი პრობლემა არც გამსახურდიას, არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლებას არ შეექმნებოდა, მოინახებოდა საკომუნიკაციო არხი, საიდანაც რუსებს ეტყოდნენ რომ უხმაუროდ დაებრუნებინათ ცხედარი.

დღეს ჩვენი ხელისუფლება სრულიად უუნაროა და ინტერპრესნიუსით (ამ საიტზე გამოქვეყნდა პირველად პრემიერის განცხადება) ელაპარაკება კვირიკაშვილი რუსეთის ხელისუფლებას.

***– რუსეთის ხელისუფლება ეცნობა ქართულ საიტებს?***

– მარია ზახაროვას თავისი თანაშემწე ალბათ შეუტანს ამ ინფორმაციას. ამ დღეებში შესაძლოა გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომ მარია ზახაროვას თანაშემწე ესაუბრა საქართველოს პრემიერს. ეს არის სამწუხარო რეალობა და იმ კურსის შედეგი, რომელსაც 5 წელია ვატარებთ.

***– რა მიზანი აქვს ამ კურსს?***

– რა აზრი აქვს და ეს არის მონური კურსი. რუსეთს ჰქონდა პრობლემები, რომლებიც მათ სააკაშვილმა შეუქმნა. ჩვენ ეს პრობლემები უნდა გამოგვეყენებინა. წინა რეჟიმის მიერ შექმნილი პრობლემების მოხსნას თავისი ფასი ჰქონდა. „ქართულმა ოცნებამ“ მოსკოვს ეს პრობლემები მოუხსნა.

***– რა პრობლემები მოუხსნა?***

– შეანელა ნატოში გაწევრიანების ტემპები. არცერთ საერთაშორისო ტრიბუნას აღარ ვიყენებთ რუსეთის გასაკრიტიკებლად, აღარ ვსაუბრობთ ჩეჩნებისა და ჩერქეზების გენოციდზე, პრობლემები მოვუხსენით ეკონომიკური მიმართულებითაც – გაზპრომს გავუფორმეთ ხელშეკრულება. თბილისი ბევრ დათმობაზე წავიდა.

***– შედეგად რუსეთისგან არაფერი მივიღეთ?***

– საქართველომ არაფერი მიიღო. ხელისუფლებას გადაუხადეს ამის საფასური.

***– რას გულისხმობთ?***

– ამ პრობლემების მოხსნის სანაცვლოდ ივანიშვილმა მოსკოვს სთხოვა, რომ საქართველოს შიდა საქმეებში არ ჩაერიოს, უთხრა, ჩვენ წინააღმდეგ რომელიმე ოპოზიციურ პარტიას არ დაეხმაროო. აი, ეს იყო მაგ გარიგების ფასი.

დღეს რუსეთის ხელისუფლება როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილს. ამით „ქართული ოცნება“ კმაყოფილია. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები დღის წესრიგში არც კი დამდგარა. ეს იმ მოლაპარაკებებიდანაც კარგად ჩანს, რომლებსაც საქართველო რუსეთთან აწარმოებს. ზურაბ აბაშიძისა და კარასინის მოლაპარაკებები მაქვს მხედველობაში.

კარასინი ვახსენე და მის მიერ ერთი თვის წინ გაკეთებულ განცხადებას გავიხსენებ. მან თქვა, რომ აფხაზეთის აღიარების უკან წაღება არ მოხდება. ამ განცხადებაზე რომ არ გავაკეთეთ დემარში, მაგიტომ გვევაჭრებიან ახლა ცხედრით. დიპლომატიური მოლაპარაკებები ხშირად წააგავს ხოლმე ბიჭებს შორის ქუჩურ გარჩევას – როცა ერთხელ რაღაცას შეირჩენ, მეორედ აუცილებლად გაკადრებენ.

ჩვენს ხელისუფლებას დღეს რუსეთთან არანაირ კავშირი არა აქვს. გუგლავენ და იქიდან რაღაცებს იგებენ. ერთადერთი, ვისაც რუსეთთან კავშირი შემორჩა, ეს არის საპატრიარქო, რომლის წინააღმდეგაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, სერიოზული სპეცოპერაცია მიმდინარეობს.

## ქუთაისში სამხედრო სამსახურის შენობაში ხანძარი გაჩნდა




ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირზე, სამხედრო სამსახურის შენობაში ხანძარი გაჩნდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ცეცხლი ოთხსართულიანი შენობის მე-4 სართულზე გაჩნდა და დაიწვა სამხედრო კომისარიატის განყოფილებაში 1 ოთახი.

მათივე ინფორმაციით, ხანძარი ლიკვიდირებულია და ადგილზე 5 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი მუშაობდა.

## პანკისის ხეობაში 23 წლის ქალი დაიჭრა




პანკისის ხეობაში 23 წლის ქალი მუცლის არეში დაიჭრა. ის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული, მდგომარეობა კი სტაბილურად მძიმეა. ადგილობრივების ინფორმაციით, ახალგაზრდას იარაღი შემთხვევით გაუვარდა. დაჭრილის დედა ამბობს, რომ შემთხვევის დროს მისი შვილი სახლში მარტო იყო. დაშავებულს პირველი ოპერაცია ახმეტის საავადმყოფოში ჩაუტარდა, თუმცა მდგომარეობის გაუარესების გამო პაციენტი თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## რუსთავში ბუნებრივი აირის ნამწვით ოთხი ადამიანი მოიწამლა




რუსთავში ბუნებრივი აირის ნამწვით ოთხი ადამიანი მოიწამლა. შემთხვევა თოდრიას პირველ ჩიხში, საცხოვრებელ ბინაში მოხდა. მოწამლულებიდან ორი არასრულწლოვანია.

სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა ოთხივე პირი სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანა. არსებული ინფორმაციით, ინტოქსიკაცია ძლიერი არ იყო და ისინი დილით სახლში გაწერეს.

## 1 გარდაცვლილი და 6 დაშავებული — ავარია ქუთაისში




ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი გარდაიცვალა, 6 კი დაშავდა, რომლებიც ქუთაისის ინტერვენციულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

# პატრიარქი: „ხანდახან ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ქვეყანას“

— ხანდახან ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ქვეყანას, დღევანდელი მდგომარეობა ჰგავს დაგორებულ ლოდს, ქვას, მთიდან რომ დაგორდება და ველარ გააჩერებ. მე ხანდახან ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ქვეყანას, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მე-



ორემ მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოებასა და ფსიქოლოგებთან შეხვედრისას განაცხადა.

პატრიარქის თქმით, სურს, რამდენიმე შეხვედრა კიდევ მოაწყონ და იმსჯელონ, „როგორ ვუშველოთ ხალხს“.

— თქვენ მოგეხსენებათ, რომ უარყოფითი ამბები მოდის, ხდება ნეგატიური მოვლენები. ახალგაზრდობა არის ჩაბმული ამაში. სიძულვილი რით აიხსნება? — ზოგიერთი ფიქრობს, რომ სოციალური მდგომარეობაა მძიმე, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ რაღაც უფრო მეტია, უფრო ძლიერი. ბიბლიაში წერია, რომ ბოლო დროს, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, ბოროტი სული, ეშმაკი გააძლიერებს თავის ზეგავლენას. რა თქმა უნდა, თვითონ ადამიანის მონაწილეობით. თუ ადამიანს არ უნდა და სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, ეშმაკი ვერაფერს დააკლებს და მე მინდა, რომ რამდენიმე შეხვედრა მოვაწყოთ და ვიმსჯელოთ, როგორ ვუშველოთ ხალხს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაძლიერდეს ჩვენი ლოცვა და გთხოვთ ფსიქოლოგებს, რომ გამოთქვათ თქვენი აზრი ამის შესახებ.

მე ხანდახან ისეთი აზრიც კი მებადება, რომ აღარ ეშველება ქვეყანას. ეს ჰგავს დაგორებულ ლოდს, ქვას, აი, მთიდან რომ დაგორდება და ველარ გააჩერებ, აი, ამას ჰგავს დღევანდელი მდგომარეობა. მე მინდა, რომ მოხსენება კი არ იყოს ჩვენი ფსიქოლოგების, აი, საუბარი გაიმართოს. აქტიური მონაწილეობა თქვენც უნდა მიიღოთ, მეც და სხვებმაც. ღმერთმა ინებოს, რომ გამოვსწორდეთ, — აღნიშნა პატრიარქმა შეხვედრის დასაწყისში.

# მეუფე შიო: „რომელ ჩხუბზე და დაჭრაზე საუბრობთ, როცა წელიწადში 40 ათასი აბორტი კეთდება?“

— რომელ ჩხუბზე და დაჭრაზე საუბრობთ, როცა წელიწადში 40 ათასი აბორტი კეთდება? ნებისმიერი ქმარი თუ ცოლს სცემს, არაკაცია, მაგრამ იქვე რატომ არ ამბობთ, რომ ვინც ბავშვი მოკლა, ნატურალური ფაშისტია? აბორტი არის ნატურალური ფაშიზმი; რომელ ჩხუბზე და დაჭრაზე საუბრობთ, როცა წელიწადში 40 ათასი აბორტი კეთდება? — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, მეუფე შიო მუჯირმა ეპარქიის სამღვდელოებასა და ფსიქოლოგებთან შეხვედრისას განაცხადა. პატრიარქის მოსაყდრის თქმით, ღმერთი არასდროს მისცემს იმ ერს ბედნიერებას და გამარჯვებას, რომელიც არის საკუთარი შვილების მკვლელი.



— ჩვენ ხშირად გვესმის საუბარი აგრესიაზე, ძალადობაზე, ამას ვებრძვით, მაგრამ არც ერთი ე.წ. მებრძოლი ამის წინააღმდეგ არ ამბობს, რომ აბორტი ცუდია. აბორტი არის ნატურალური ფაშიზმი. რომელ ჩხუბზე და დაჭრაზე საუბრობთ, როცა წელიწადში 40 ათასი აბორტი კეთდება და ეს არაოფიციალურად? თუ მივამატებთ ამას ქიმიურ აბორტებს, ეს ადის ასობით ათასზე. სულიერად რომ შევხედოთ, ღმერთი არასდროს მისცემს იმ ერს ბედნიერებას და გამარჯვებას, რომელიც არის საკუთარი შვილების მკვლელი. სანამ ეს არ გამოსწორდება, ჩემი აზრით, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, არაფერი გამოსწორდება იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენს ბავშვებს ვკლავთ ათობით და ასობით ათასს და ამას არ ვუწოდებთ აგრესიას, ვიცავთ ქალის უფლებას, ბავშვის უფლებას, მაგრამ არ ვიცავთ ბავშვის უფლებას, რომ დაიბადოს, ამაზე ხმას არავინ იღებს. რა არის ეს, თუ არა ორმაგი სტანდარტი? კითხვა იბადება — ვის აწყობს ეს? იქ, როგორც ჩანს, ფული კეთდება და დიდი პარადიგმაა, მსოფლიო მიმართულებაა, რომ ამაზე არ იფიქრო, გვეუბნებიან, რომ ეს არ არის აგრესია, ამაზე არ გაბედო თქმა იმიტომ, რომ ქალის უფლებაა, დაკუწოს საკუთარი შვილი დანით. აქ კიდევ თუ შეეხო ქმარი ცოლს, რა თქმა უნდა, ესეც ამაზრზენია, ნებისმიერი ქმარი ცოლს თუ სცემს, ის არაკაცია, დასასჯელია, ამაზე ორი აზრი არ არის, მაგრამ იქვე რატომ არ ამბობთ, რომ ეს ვინც გააკეთა, ის ნატურალური ფაშისტია? ნიუნბერგის პროცესზე ამის გამო ხოცავდნენ და ახრჩობდნენ ადამიანებს. ჩვენ ამას ვაკეთებთ და მერე გვინდა, რომ რაღაც გამოსწორდეს, აგრესია დაიძლიოს. როგორ უნდა დაიძლიოს? როცა მთელი ერი ამით სცოდავს პრაქტიკულად. ახლა მარხვის პერიოდია და თუ ჩვენ ამას სინანულით არ შევხედეთ, თუ ჩვენ, როგორც ერმა, ეს არ გამოვასწორეთ, ამაზე არ ვიყვირეთ სკოლაშიც, უფროსკლასებშიც, საზოგადოებაშიც, არაფერი გამოვა, ჩემი აზრით.

თქვენო უწმინდესობავ, თქვენ ხშირად ამბობდით, რომ სამღვდელოება აღარ უნდა იყოს მარტო ტაძრებში, ეს ძველ დროს იყო, საბჭოთა დროს, მღვდლებს აკრძალული ჰქონდათ გარეთ გასვლა და მისიონერობა. დღეს ის დროა, როდესაც ჩვენ ტაძრებიდან უნდა გავიდეთ, ვიქადაგოთ და ეს მისიონერობა გავაძლიეროთ. მე მგონია, რომ ერთ-ერთი გამოსავალი ესეც იქნება, ფსიქოლოგებთან ერთად, ფილოსოფოსებთან ერთად, — აღნიშნა შეხვედრისას მეუფე შიომ.

ცნობისთვის, პატრიარქმა და მეუფე შიომ ახალგაზრდებში მომატებულ აგრესიის საკითხებზე მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოებასა და ფსიქოლოგებთან შეხვედრა გამართეს.

# გიორგი მარგველაშვილი: „ბრიუსელში ყველა შეხვედრას მძიმე ფონად დაჰყვებოდა არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობა“



— ბრიუსელში ყველა შეხვედრას მძიმე ფონად დაჰყვებოდა ჩვენი მოქალაქის, არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობა, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ოკუპირებულ ცხინვალში გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვლილი არჩილ ტატუნაშვილის საქმესთან დაკავშირებით განაცხადა.

საქართველოს პრეზიდენტმა ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ის შეხვედრები შეაჯამა, რომელიც ევროკომისიაში, ევროპულ საბჭოსა და ნატოში გამართა. შეხვედრებზე კი არჩილ ტატუნაშვილის საქმე ერთ-ერთი განსახილველი საკითხი იყო.

— ყველა შეხვედრას მძიმე ფონად დაჰყვებოდა ჩვენი მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობა, მისი ცხედრის გადმოსვენება და ჩვენი მოქალაქეების დაკავება, რომლებსაც ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან არ უშვებენ. ეს იყო ის მძიმე ფონი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ვილაპარაკეთ აი, ამ წინ გადადადგმულ ნაბიჯებზე, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

# „კვირიკაშვილმა ამ მხდალი განცხადებით დაამტკიცა, რომ პრემიერი არ უნდა იყოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლოთ, რომ არ შევიდნენ და თავი არ დაიხოცონ. კონტროლი უნდა გაძლიერდეს ამ მიმართულებით. საერთოდ ტატუნაშვილი არ უნდა აღმოჩენილიყო ცხინვალის ტერიტორიაზე.

***— ცოტა ხნის წინ, ნატოში გაწევრიანების საწინააღმდეგო ხელმოწერების შეგროვებაც დაიწყო. ავტორიტეტული ადამიანების ხელმოწერებიც აღმოჩნდა ამ წერილზე. როგორ ფიქრობთ, ვილაცები შეშინდნენ, რომ საქართველო შეიძლება მე-5 მუხლის შეჩერებით მართლაც გახდეს ნატოს წევრი?***

— ვილაცები კი არ შეშინდნენ, ვილაცებმა რუსეთიდან ბრძანება მიიღეს. არანაირ ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველოში რუსეთის აგენტურა მუშაობს. გრუს და სუკის აგენტურა, რომელთაც გაბედეს და საქართველოს ეროვნულ არჩევანზე ასეთი ხასიათის შეტევა განახორციელეს. ტატუნაშვილის საქმე და ეს საქმე ერთი საქმეა, ერთიანია. პარლამენტის პოზიციები, პრემიერის ეს ძალიან მხდალი განცხადება, ეს ყველაფერი ერთ რამეზე მიუთითებს: საქართველოს ხელისუფლება ევროპული კურსის შეცვლას აპირებს, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, ამას ვერ გააკეთებენ! ეს არ არის მხოლოდ მათი საქმე და ეს არ არის მხოლოდ მათი გადასაწყვეტი, მაგრამ ასეთი კანკალი მიუღებელია. ამ ხელმომწერებზე რატომ არაფერს არ ამბობს პრემიერი, რა, არ ეხება?!

***— პოზიცია უნდა დაეფიქსირებინა?***

— რა თქმა უნდა! ქვეყნის ინტერესებზეა საუბარი და ვინ მისცა მათ უფლება, რომ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედონ. ეს არის ქვეყნის ინტერესებისთვის ძირის გამოთხრა. ეს არის სამშობლოს ღალატი, იმის ნაცვლად, რომ ეს აღკვეთოს პრემიერმა, გამოდის და ასეთ განცხადებას აკეთებს. ეს სრულიად მიუღებელია.

***— დასავლური კურსის გადახვევასთან დაკავშირებით, ხელისუფლების არგუმენტია, რომ მათ ვიზალიბერალიზაცია მიიღეს.***

— არავინ არ დავობს, რომ ნაბიჯები, რომლებიც ევროკავშირის მიმართულებით გადაიდგა, სწორი იყო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრემიერის მიერ გაკეთებული ეს განცხადება შემაშფოთებელი არ იყო ჩვენთვის. მიუხედავად იმისა, რომ ვიზალიბერალიზაცია მივიღეთ, ეს არ არის არაფრის გარანტია. მოლდოვამაც მიიღო ვიზალიბერალიზაცია, მაგრამ კომუნისტი ლიდერი მოვიდა სათავეში და რუსეთთან შეთანხმება დადო, ამიტომ ეს არ არის არანაირი არგუმენტი. ეს წარსულია, კარგია, რომ გვაქვს და უნდა ვიზრუნოთ, რომ არ დავკარგოთ, მაგრამ ამავე დროს, როდესაც რუსეთი ასე უსინდისოდ, ცინიკურად იქცევა და მთელ მსოფლიოს დასცინის, ჩვენ მოდი დავილაპარაკოთ, იქნებ რამე დაგითმო, არ უნდა ვუთხრათ.

***— ამ განცხადებაზე გამოხმაურება იქნება?***

— არა, რა თქმა უნდა. საერთოდ რუსეთს რაში ადარდებს ეს პრემიერ-მინისტრი. გასაგებია, რომ ცხედარს არ გადმოგვცემენ. ოსებს დაელაპარაკეთო, გვითხრეს. ერთმორწმუნე რუსეთის პატრიარქმა გვითხრა, მე ნუ მაწუხებთო. ჩვენი საზოგადოება ბარათაშვილს არ უჯერებს, მაგრამ იმ მღვდლებს უჯერებენ, რომლებიც გვეუბნებიან, რუსები ჩვენი ძმები არიან, ერთმორწმუნეები ვართო.

# შსს: „მოზარდების თვითმკვლელობებისა და სუიციდის მცდელობის ფაქტებზე 100-ზე მეტი მოზარდი გამოიკითხა“

დილომში 17 წლის მოზარდის სუიციდის მცდელობასთან დაკავშირებული საქმის გამოძიების პროცესში კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს გამომძიებლები ჩაერთვნენ.

ამის შესახებ „პალიტრანიუსის“ ეთერში, გადაცემა „დღის თემაში“ შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის მოადგილე რატი გარდაფხაძემ განაცხადა.

გარდაფხაძემ ბოლო პერიოდში მოზარდების თვითმკვლელობებისა და სუიციდის მცდელობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებებზე ისაუბრა და აღნიშნა,



რომ გამოძიებამ ამ საქმეებზე 100-ზე მეტი მოზარდი გამოკითხა. მისივე თქმით, რამდენიმე დღის წინ, დილომში მომხდარ შემთხვევაზე, მოზარდის ოჯახის წევრების გამოკითხვა ხვალ მოხდება.

— 17 წლის მოზარდის სუიციდის მცდელობის გამოძიების პროცესში კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს გამომძიებლები ჩაერთვნენ. დღეს მოზარდის ოჯახმა, გამოკითხვის მიზნით სამინისტროში მოსვლა ვერ მოახერხა და მათი დეტალური გამოკითხვა ხვალისთვის გადაიდო. რაც შეეხება აჭარაში, ხელვაჩაურში გასულ წელს, მოზარდის სუიციდის მცდელობის ფაქტს, მისი ხელმეორედ გამოკითხვის მიზნით, სამინისტროდან გაგზავნილია საგამოძიებო ჯგუფი. მოზარდმა გასულ წელს, გამოკითხვისას არ დაადასტურა სახიფათო ინტერნეტთამაშებში ჩართულობა. ბოლო დროს მოზარდთა თვითმკვლელობის ან სუიციდის მცდელობის ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების პროცესში, გამოკითხულია 100-ზე მეტი მოზარდი და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მათი სატელეკომუნიკაციო ტექნიკური საშუალებების კვლევა, — განაცხადა რატი გარდაფხაძემ.

# საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსანმა ქალზე იძალადა — სტრასბურის სასამართლოში საჩივარი შედის

2018 წლის 06 მარტს GDI-მ (საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ) პარტნიორ ორგანიზაციასთან – ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან (EHRAC) თანამშრომლობით, ქალბატონ თ.ტ.-ს მიმართ შსს-ს მაღალჩინოსნის მხრიდან სისტემატური ძალადობის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქართველოს წინააღმდეგ საჩივრით მიმართა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი: საქართველოს მოქალაქე, ქალბატონი თ.ტ., მისი მეგობარი მამაკაცის, საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსნის (საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის ხარისხის მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე), გიორგი ბერიძის მხრიდან 2015-16 წლებში განიცდიდა სისტემატურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. საქმეში იკვეთება ინტენსიური ფიზიკური ძალადობის 6 დამოუკიდებელი შემთხვევა. მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით და მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ძირითადად ძალადობის საფუძველი სქესის ნიშნით დისკრიმინაცია იყო. ძალადობის გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება ითქვას, რომ მოძალადე მოქმედებდა, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი, იყენებდა საკუთარ თანამდებობასა და გავლენებს ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავთა მხრიდან მის მიმართ წარმოებული სამართლებრივ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. საქმის გარემოებებიდან ასევე ირკვევა, რომ სახელმწიფო ძირითად შემთხვევებში ინფორმირებული იყო ქალბატონი თ.ტ.-ს მიმართ მიმდინარე სისტემატური ძალადობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სამართალდამცავი ორგანოებისა და ზოგადად



სახელმწიფოს ქმედებები არაეფექტური იყო მხვერპლის მიმართ ძალადობის აღკვეთის, პრევენციისა და სავარაუდო დანაშაულების გამოძიების კუთხით. მაგალითად, საქართველოს პროკურატურამ 2015 წლის ოქტომბერში ჩადენილ ძალადობაზე დაწყებული გამოძიება 2016 წლის მაისში დანაშაულის ნიშნების არარსებობის საფუძვლით შეწყვიტა, თუმცა იმავე ფაქტზე საქართველოს შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ გიორგი ბერიძეს დისციპლინური გადაცდომა დაუდგინა და აღნიშნა, რომ დისციპლინური გადაცდომა:

„მისი მხრიდან გამოიხატა მოქალაქე თ.ტ.-ს მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასა და დამამცირებელ მოპყრობაში, რასაც შედეგად მოჰყვა თ.ტ.-ს მიერ თვითდაზიანება“.

2016 წლის ივლისში ქალბატონი თ.ტ.-ს მიმართ განმეორებით ჩადენილ ძალადობაზე დაწყებული გამოძიება კი დღემდე უშედეგოდ გრძელდება, რაც მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით.

2018 წლის 05 მარტის დასკვნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა დაადასტურა, რომ შსს-ს მაღალჩინოსანმა, გიორგი ბერიძემ, 2016 წლის 04, 18 თებერვალსა და 16 ივნისს თ.ტ.-ს პერსონალური მონაცემები არასამსახურებრივი (პირადი) მიზნით შსს-ს მონაცემთა ბაზებში უკანონოდ გადაამოწმა.

GDI ქალბატონი თ.ტ.-ს ინტერესებს 2017 წლის ივლისიდან იცავს. GDI ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში მომჩივნის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევას ასაბუთებს.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ თ.ტ.-ს ინტერესებს იცავს პროექტის „სამართალწარმოება თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება East-West Management Institute, PROLoG, USAID – ის ფინანსური მხარდაჭერით და მიზნად ისახავს საქართველოში მცხოვრები რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების სამართლებრივი სტატუსის გაუმჯობესებას. Promoting Rule of Law in Georgia Activity _ PROLoG.

# ია მეტრეველი ზვიად კუპრავას სასამართლოში უჩივის

საქველმოქმედო ფონდ „ქომაგის“ ყოფილი ხელმძღვანელი ია მეტრეველი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელ ზვიად კუპრავას უჩივის.

საქმე ეხება კუპრავას მიერ გაკეთებულ სკანდალურ განცხადებას, რომლის მიხედვითაც „ქომაგის“ შემომწირველების ვინაობა და თანხის განკარგვა გაუმჭვირვალეა. შესაძლო თაღლითობის გამოძიების მოთხოვნით კუპრავამ საგამოძიებო ორგანოსაც მიმართა.

ია მეტრეველი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს და ზვიად კუპრავასგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს.

– მან ჩემი მისამართით ცილისმწამებლური განცხადებები არაერთხელ გააკეთა. საბოლოოდ ისეთ ზღვარსაც კი გასცდა, რომ განცხადება პროკურატურაშიც კი შეიტანა. ბევრჯერ მოუთმინე, მაგრამ ამის მოთმენას ნამდვილად არ ვაპირებ და ჩემი ღირსების შელახვის გამო მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შემაქვს, – განაცხადა ია მეტრეველმა.

მისი ადვოკატის თქმით, კუპრავამ იმ მედიასაშუალებების მეშვეობით უნდა მოიხადოს საჯარო ბოდიში, ვისთანაც ია მეტრეველის საქმიანობის შესახებ ისაუბრა.

* * *

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა მზად არის სასამართლოს წინაშე დასვას კითხვები, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქომაგის“ საქმიანობასთან დაკავშირებით აქვს.

როგორც კუპრავამ „ნიუპოსტს“ ია მეტრეველის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელის შესახებ საუბრისას განუცხადა, სასამართლოში მიიყვანს მოწმეებს, რომლებიც „ქომაგს“ ფულის თათლითურად მითვისებაში ადანაშაულებენ.

– ჩვენ მნიშვნელოვანი ხარვეზები აღმოვაჩინეთ ფონდის საქმიანობაში. ეს არის დარღვევები ფინანსურ ნაწილში. პროკურატურას სწორედ ამ კითხვით მივმართეთ, რომ ხომ არ აქვს ადგილი ფინანსურ დანაშაულის ნიშნებს. ქალბატონ იას პიროვნულად არ შევხებივარ, დავსვი კითხვა მის საჯარო საქმიანობასთან დაკავშირებით.

სარჩელის შეტანა მისი უფლებაა. მე სასამართლოში იმ ადამიანების რიგს დავუყენებ, რომლებიც „ქომაგს“ თაღლითობის მსხვერპლნი გახდნენ. კერძოდ, საქველმოქმედო ორგანიზაციას გამოცხადებული ჰქონდა, რომ ისინი იპოთეკით დაზარალებულთა სიას ადგენდნენ და ფონდში 10 ლარის შეტანის შემთხვევაში, დაზარალებულებს ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მიყენებული ზიანი აუნაზღაურდებოდათ. „ქომაგის“ ოფისი ელბაქიძის ქუჩაზე მდებარეობდა და პირველიდან მესამე სართულამდე იყო



რიგები, რომ როგორღაც იმ სიაში მოხვედრილიყო ხალხი. აქ საუბარი არ არის ერთ ან ორ ადამიანზე, ვსაუბრობთ ათასობით დაზარალებულზე, რომლებსაც ნაღდი ფულის სახით, ე.წ. ქეშად 10-10 ლარი შეატანინეს, ისე რომ არანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი, მათ შორის ჩეკიც კი არ მიუციათ. ზუსტად ამ ადამიანების რიგს დავუყენებ მოწმეების სახით სასამართლოზე და ჩემგან ბოდიშის მოხდის ნაცვლად თვითონ სასამართლოზევე მოუწევს ამ ადამიანებისთვის ბოდიშის მოხდა, – განაცხადა კუპრავამ.

## კუბლაშვილი: „ხელყუმბარა, რომლის გამოც თემირლან მაჩალიკაშვილს ესროლეს, განადგურებულია“

– ხელყუმბარა, რომლის გამოც თემირლან მაჩალიკაშვილს ესროლეს, განადგურებულია.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ხელყუმბარა თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალებიდან მალევე, 19 იანვარს გაანადგურეს და, შესაბამისად, მისი დათვალიერების საშუალება დამოუკიდებელ ექსპერტებს არ ექნებათ.

კუბლაშვილი ასევე შეშფოთებულია იმის გამო, რომ მაჩალიკაშვილების ოჯახს და მას,



საქმეში არსებული მნიშვნელოვანი მასალების, მათ შორის სპეცრაზმელების ჩვენებების გაცნობაზე ოფიციალურად უარი ეთქვა.

– ოფიციალური უარი მივიღეთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი მასალების გაცნობაზე. ეს მასალები არის მთავარი და გასაიდუმლოებული. გარდა ამისა ხელყუმბარაზეც რომ ვითხოვდი ექსპერტიზის ჩატარებას და ამ მიზნით მოვითხოვდი არ აეფეთქებინათ – აღმოჩნდა, რომ აფეთქებულია და თანაც ძალიან ადრე, იანვრის დასაწყისშივე. რა ეჩქარებოდათ ამ ხელყუმბარის აფეთქება, არ ვიცი?! ჩატარებულია ექსპერტიზა და მასზე აღმოჩენილია თემირლანის სისხლის კვალი, თუმცა ანაბეჭდის პასუხი ამ დრომდე არ გვაქვს. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ამ ხელყუმბარის შემოწმება, ვინაიდან შეიძლება მასზე სხვა მტკიცებულებებიც აღმოგვეჩინა, მათ შორის საინტერესო იყო, ფიქსირდებოდა თუ არა მასზე საწოლის ბოჭკოები. ექსპერტიზების ჩატარების გარეშე ამ ხელყუმბარის აფეთქება ძალიან დიდი დარღვევაა. მარაზმია ჩვეულებრივი! – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

ადვოკატის ინფორმაციით, დღეს თბილისში თემირლან მაჩალიკაშვილის მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი ჩამოდის, რათა ოჯახმა სამომავლო ნაბიჯები დაგეგმოს.

– ჩამოდის დღეს მალხაზ მაჩალიკაშვილი და გადავწყვეტთ რამეს! ჩვენ ხელი შეგვიბოჭეს და ჩიხში მოგვაქციეს, – აღნიშნა კუბლაშვილმა.

## საზმაუში 170 ახალი თანამშრომლიდან კონკურსით მხოლოდ 3 აიყვანეს, მათ შორის ერთი მაღლაფერიძეა



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელში 170 ახალი თანამშრომელი მიიღეს. კონკურსის წესით საზოგადოებრივ მაუწყებელში მხოლოდ 3 ადამიანი აიყვანეს. არასამთავრობო ორგანიზაციამ საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რამდენი თანამშრომელი მიიღეს 2017 წლის 6 იანვრიდან 2018 წლის 30 იანვრის ჩათვლით, რაზეც მაუწყებელში განაცხადეს, რომ 170. აქედან 3 თანამშრომელია კონკურსის წესით დანიშნული, მათ შორის, არხის გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე და ორი გამხმოვანებელი.

170 ახალმიღებული თანამშრომლიდან 31 კორესპონდენტია, 17 რედაქტორი და 10 პროდიუსერი. მიღებულ თანამშრომლებს შორის 11 წამყვანია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, მაუწყებლის გენერალურ დირექტორად ვასილ მაღლაფერიძე 2017 წლის 6 იანვარს აირჩიეს.

ვასილ მაღლაფერიძე 2016 წლის აგვისტომდე ბიძინა ივანიშვილის ოჯახის კუთვნილი ტელევიზიის, GDS-ის გადაცემა 2030-ის გენერალური პროდიუსერი იყო, 2012 წელს კი – ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ დირექტორის მოადგილე. 1999-2004 წლებში – საქართველოს პარლამენტის წევრი, ხოლო 2005-2008 წლებში – სახელმწიფო რწმუნებული. ის ასევე მუშაობდა სახალხო დამცველის აპარატში.

## კალაძე: „ავტობუსიდან იმ ადამიანების ჩაგდება, რომლებიც იქ ღამეს ათევენ, არ შეიძლება“



თბილისის მერმა კახა კალაძემ ჟურნალისტებთან საუბარში 37-ე ავტობუსში ღამის გასათევად ასულ ადამიანებზე ისაუბრა. მისი თქმით, ავტობუსიდან ნებისმიერი მგზავრის ჩამოგდება მიუღებელია.

37-ე ავტობუსს, რომელიც ქალაქის გავლით აეროპორტისკენ მიემგზავრება, 24-საათიანი განრიგი აქვს. სწორედ ამის გამო ხშირად ავტობუსში ღამის გასათევად ადიან. კალაძეს ამის შესახებ პირველმა არხმა ჰკითხა:

– განსაკუთრებით ზამთრის პერიოდშია ეს პრობლემა აქტუალური. როდესაც ცივა, ეს ადამიანები ადიან ავტობუსში და დაჰყვებიან მას. ერთი მხრივ, ეს სერიოზული პრობლემაა, თუმცა, მეორე მხრივ, მიხვიდე და გააგდო ადამიანი, არ შეიძლება. არსებობს თავშესაფარი, თუმცა ეს ადამიანები არ მიდიან. ყველანაირი პირობაა. ჩვენ ვიყავით და ვნახეთ, როგორი სისუფთავეა, როგორი პირობებია. ამ პრობლემას აუცილებლად მოვაგვარებთ, თქვენ (ჟურნალისტები) არ ხართ პირველები. ამ საკითხთან დაკავშირებით მერიაში ძალიან ბევრი შეტყობინება მოდის, – განმარტავს კალაძე.

## ნიკოლოზ ვარდოშვილი გუბერნატორის ადმინისტრაციას საწვავის არამიზნობრივ ხარჯვას ედავება



„ლეიბორისტული პარტიის“ კახეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვარდოშვილი კახეთის გუბერნატორ ირაკლი ქადაგიშვილს დიდი ოდენობით საწვავის არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს. ვარდოშვილის თქმით, გუბერნატორის ადმინისტრაცია წელს 40.000 ლიტრი საწვავის დახარჯვას გეგმავს.

– კახეთის გუბერნიის შესყიდვებს რომ გადახედოთ, ვერ გაარჩევთ, კახეთის გუბერნატორია თუ ნავთობმაგნატი. წელს კახეთის გუბერნიამ შეისყიდა 80 ათასი ლარის საწვავი, ანუ 40.000 ლიტრი. გაზაფხულია. რამდენი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მოხვნა და დამუშავება შეიძლებოდა, კახეთში ადამიანები ვერაფერს აკეთებენ იმის გამო, რომ საწვავი არ აქვთ. არ ვიცი, სად უნდა იაროს ამდენი კახეთის გუბერნატორმა. 80.000 ლარის საწვავით ალბათ დედამიწას სამჯერ დაარტყამს წრეს, – განაცხადა ნიკოლოზ ვარდოშვილმა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობასთან, სადაც მან სიმბოლურად საწვავის ბიდონი მიიტანა. ვარდოშვილის ბრალდებებს კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსმა უპასუხა. ნინო უტიაშვილის თქმით, საწვავი, რომელსაც შეისყიდიან, გუბერნატორის ადმინისტრაციის მინიმალური ფუნქციონირებისთვის არის საჭირო.

– საწვავისთვის გათვალისწინებული თანხა – 82.160 ლარი, სახელშეკრულებო თანხაა, რომელიც წლის განმავლობაში ყოველთვიური გახარჯვის მიხედვით იქნება დაანგარიშებული. როგორც წესი, წლის ბოლოს, გახარჯული თანხა უფრო ნაკლებია ხოლმე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ გასულ წელთან შედარებით საწვავის ლიმიტი არ გაზრდილა და შეადგენს 39.500 ლიტრს. გამოყოფილი თანხის ოდენობა წელს საწვავზე ფასის მომატების გამო გაიზარდა, – აღნიშნა ნინო უტიაშვილმა. მისივე თქმით, საწვავის შესაძენად გასულ წელს 63.700 ლარი დაიხარჯა და 35 ათას ლიტრამდე საწვავი შეიძინეს.

**რეგინფო**

## თბილისის მიტოვებული რკინის ფარეხები პარკირების კომპანიის აქციების სანაცვლოდ



„მენაშენეთა ასოციაცია“ თბილისის მერს კახა კალაძეს პროგრამის „შენი იდეა მერს“ ფარგლებში პარკინგის პრობლემის მოგვარების კიდევ ერთ რეკომენდაციას სთავაზობს.

მენაშენეების მოსაზრებით, კიდევ ერთი გამოსავალი პარკინგის პრობლემის აღმოსაფხვრელად უქმად არსებული პარკინგების მომგებიან გამოყენებაშია.

რეკომენდაცია №8 – გადაცვალე უქმად მდგომი პარკინგი მომგებიანი კომპანიის აქციებში გადაცვლას გულისხმობს.

წინა რეკომენდაციები ითვალისწინებდა პარკინგის საფასურის გაზრდას, რაც, მენაშენეების აზრით, დარგით კერძო ინვესტორებს დააინტერესებს. გარდა ამისა, დეველოპერებისთვის გარკვეული შეღავათებიც იყო გათვალისწინებული, რაც ქალაქის ცენტრში მშენებლობის დროს სავალდებულო პარკინგის ადგილის ნაცვლად თუ მერიის სპეციალურ ფონდში გადარიცხავენ სოლიდურ თანხას. ასეთ შემთხვევაში მერიას გამოუჩნდება ფინანსური ფონდი, რომლითაც დედაქალაქის ცენტრში შეძლებს პარკინგების აშენებას.

შესაბამისად, თუ მოხდება პარკირების საფასურის გაზრდა, რაც გამოიწვევს ამ ბიზნესის მომგებიანობას და თუ მოხდება დეველოპერების მიერ არაშენებული პარკინგების საფასურით ფონდის შექმნა, მაშინ შესაძლებელი გახდება გონივრული შეთავაზების გაკეთება რკინის ფარეხების კერძო მფლობელებისთვის, რომელთა ფარეხები დღეს უქმად დგას და ავიწროებს რეკრეაციულ ზონებს, კერძოდ კი მათ ფარეხების სანაცვლოდ გადაეცემათ იმ კომპანიის აქციების ნაწილი, რომლებიც ცალკე მდგომ პარკინგების შენობებს ააშენებს.

ასეთ შემთხვევაში უქმად მიგდებულ რკინის ფარეხს მფლობელი აღარ მიანიჭებს უპირატესობას და სიამოვნებით გაცვლის მომგებიან აქციებში. შესაბამისად, გამოთავისუფლდება რეკრეაციული ზონებიც, რაც დადებითად აისახება როგორც ეკოლოგიაზე, ისე დედაქალაქის იერსახეზე.

– ქალაქში გვყავს ნახევარი მილიონი მანქანა, ხოლო პარკინგების რაოდენობა, რომელთაც კომპანია „სითი-პარკი“ მართავს, დაახლოებით 32.000 ადგილს შეადგენს. თეორიულად, ერთ მანქანაზე ოპტიმალურად ითვლება საშუალოდ 2 ან მეტი პარკინგის ადგილი იმისათვის, რომ პრობლემა არ იყოს. ჩვენ თუ გვაქვს იმის მოლოდინი, რომ სახელმწიფო თავისი ხარჯით აშენებს თუნდაც ახალ 200.000 პარკინგის ადგილს, ძალიან ვცდებით და არასწორი, ილუზორული მოლოდინია, – აცხადებენ „მენაშენეთა ასოციაციაში“.

მანამდე „მენაშენეთა ასოციაციამ“ გაავრცელა რეკომენდაცია, რომელიც დედაქალაქში პარკინგის აპლიკაციის შექმნასა და ამ გზით მანქანების გასაჩერებელი ადგილების მართვის ოპტიმიზაციას გეგმავს. მაგალითად, როდესაც მოქალაქე ყიდულობს პარკინგს თავისი ბინის სიახლოვეს, ეს ავტოსადგომი არ მუშაობს ოპტიმალურად, იმიტომ, რომ დატვირთულია მხოლოდ ღამის საათებში და დასვენების დღეებში. სხვა დროს, როდესაც სამსახურში მივდივართ ან ქალაქიდან გავდივართ, ეს პარკინგი უმოქმედოა.

„მენაშენეთა ასოციაცია“ პარკინგის პრობლემის მოგვარების კუთხით რეკომენდაციების დაახლოებით 12-პუნქტიან პაკეტზე მუშაობს, თუმცა ეს არ მიაჩნიათ საკმარისად და პროცესში ყველა პროფესიონალის – ურბანისტების, არქიტექტორების, მეგზევეებისა და ა.შ. ჩართულობის აუცილებლობაზე მიუთითებენ.

## თბილისში „ბიზნეს სახლი“ შესაძლოა კომპანია „დაგიმ“ ააშენოს

გაიმარჯვებს თუ არა „დაგი“ 71-მილიონიან ტენდერში, 3 დღეში გახდება ცნობილი.

71.6-მილიონიანი ტენდერის მოსაგებად კომპანიას, შეიძლება ითქვას, 1 ნაბიჯი დარჩა. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, დაგმა“ 3 დღეში ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა დააზუსტოს, რის შემდეგაც გადაწყდება, დასახელდება თუ არა ის გამარჯვებულად.

ტენდერში კიდევ 2 კომპანია მონაწილეობდა. ამხანაგობა ,,ბიზნეს სახლი“ დისკვალიფიცირდა ტექნიკური დოკუმენტაციის გამო, მეორე კომპანიის, სამშენებლო-სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია აკკორდის დოკუმენტაცია სატენდერო კომისიამ საერთოდ ვერ შეაფასა, რადგანაც კომპანიამ შესყიდვების ვებგვერდზე დოკუმენტაცია საერთოდ არ ატვირთა.

შეგახსენებთ, ენერგოეფექტური ბიზნეს სახლის კონსტრუქციის მშენებლობას კომპანია „ენსისი“ განახორციელებს, რისთვისაც 10.087 მლნ ლარს მიიღებს.

რკინაბეტონის კონსტრუქციით მოწყობილი შენობის კარკასის მშენებლობის საერთო ვადა 7 თვეს შეადგენს.

ბიზნეს სახლი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის ახლებურ მოდელს წარმოადგენს, რომელიც ბიზნესისა და იურიდიული პირებისთვის, სხვადასხვა სამინისტროსა თუ სახელმწიფო უწყებაში გაფანტული სერვისების ერთ სივრცესა და ერთიან ელექტრონულ პლატფორმაზე მიწოდებას ითვალისწინებს.

ჯამში, საუბარია 600-ზე მეტ მომსახურებაზე, რომელსაც ბიზნესი დღეს სახელმწიფოს



მხრიდან იყენებს და ყველა მათგანი ერთ სივრცეში იქნება ხელმისაწვდომი.

# იპოთეკით დატვირთულ ქონებას ბანკები 3 წელი ვერ გაყიდიან



საპარლამენტო ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მომზადებული „ბოლო საცხოვრისის მიმართ იძულებითი აღსრულების შესახებ“ კანონის პროექტის დახვეწის მიზნით სამუშაო ჯგუფი შეიქმნა.

საქმე ის არის, რომ აღნიშნული კანონპროექტი, რომელიც ამ თემასთან დაკავშირებულ კანონთა პაკეტის ნაწილია, 2017 წლის ბოლოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტზე განიხილეს და მაშინ კომიტეტმა „პატრიოტთა ალიანსის“ საკანონმდებლო წინადადებები არ გაიზიარა, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარე კაკი ზოიძე საკანონმდებლო წინადადების ინიციატორებთან და სხვა კომიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივის დახვეწაზე იმუშავებდა.

როგორც ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე გიორგი ლომიამ BM.ge-თან საუბარში განაცხადა, სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა მომავალი კვირის დასაწყისში, სავარაუდოდ, 14 მარტს გაიმართება.

მისივე ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფში შედიან, როგორც შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების წევრები, ასევე ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებსაც ეყოლებათ წარმომადგენლები, ბანკების ასოციაციაც იქნება წარმოდგენილი და ასევე, ბიზნესომბუდსმენის აპარატიც, რომელიც ამ თემაზე, სავარაუდოდ, თავის დასკვნასაც დადებს.

რაც შეეხება უშუალოდ საკანონმდებლო ინიციატივის ძირითად არსს, „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მომზადებული კანონის პროექტის მიხედვით, შემოდის ახალი ცნება „ბოლო საცხოვრისი“ ანუ უძრავი ნივთი, რომელიც წარმოადგენს მოვალისა და მისი ოჯახის წევრზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ერთადერთ უძრავ ნივთს და იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, ფიზიკურ პირს ერთადერთი სახლი აქვს ბანკში ჩადებული ან კერძო მევახშესთან იპოთეკის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და თანხას ვერ დაფარავს, ბანკი ან მევახშე ამ ქონებას 3 წლის განმავლობაში ვერ გაყიდის.

კანონპროექტში წერია:

– თუ აღმასრულებლის მიერ დადგინდება, რომ საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს მოვალის და მისი ოჯახის წევრების ბოლო საცხოვრებელ სახლს აღმასრულებელი ვალდებულია, შეაჩეროს სააღსრულებო საქმის წარმოება 3 წლის ვადით.

სააღსრულებო საქმის წარმოების შეჩერების პერიოდში მოვალე კრედიტორის სასარგებლოდ ყოველთვიურად იხდის ვალდებულების „საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის ერთ მეთორმეტედს, რომელიც ძალაშია ყოველი წლის 1 მარტიდან.

ერთი წლის განმავლობაში 6 თვის სარგებლის გადაუხდელობის შემთხვევაში აღმასრულებელი კრედიტორის განცხადების საფუძველზე განაახლებს იძულებითი აღსრულების საქმის წარმოებას და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად სარეალიზაციოდ მიაქცევს მოვალის ბოლო საცხოვრისს.

გარდა ამისა, კანონპროექტის თანახმად, თუ სამი წლის შემდეგაც არ დაფარავს მოვალე თანხას, აღმასრულებელს უფლება ეძლევა, რომ გაასხვისოს უძრავი ქონება; ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირის ბოლო საცხოვრისი უკვე რეალიზებულია, მაგრამ ის იძულებით არაა იქიდან გამოყვანილი, ამ კანონის ამოქმედებიდან 3 წლის განმავლობაში, მას შეუძლია გამოისყიდოს გასხვისებული ქონება იმ ოდენობის თანხით, რამდენადაც გაიყიდა უძრავი ქონება იძულებით აუქციონზე; ხოლო თუ ამ ვადაშიც არ გამოისყიდის, მაშინ კანონიერ მესაკუთრეს შეუძლია ეს ქონება გამოითხოვოს უკვე სასამართლოს გზით.

კანონპროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ამ ფორმით დადგენილი რეგულირებების შემთხვევაშია შესაძლებელი კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ურთიერთობების დაბალანსება და მოქალაქეების დაცვა უსახლკაროდ დარჩენისგან.

– კანონპროექტი ხელს შეუწყობს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლისთვისაც იპოთეკით დატვირთული ქონება წარმოადგენს ბოლო საცხოვრისს. ამასთანავე, კანონპროექტის მოქმედება ზეგავლენას მოახდენს კრედიტორების ფინანსურ მდგომარეობაზე, რამდენადაც, კანონპროექტის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოება შეჩერდება მინიმუმ 6 თვით და მაქსიმუმ 3 წლით. შეჩერების პერიოდში კრედიტორი მიიღებს კანონპროექტით განსაზღვრულ შემოსავლებს, – წერია განმარტებით ბარათში.

# „მარცვლეულის გამყიდველები საგადასახადო დოკუმენტაციას აყალბებენ“



– ნედლეულის მომწოდებლების მხრიდან ხდება საბუთების გაყალბება.

ამის შესახებ „საქართველოს მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის“ ხელმძღვანელმა ზურაბ უჩუმბეგაშვილმა განაცხადა. მისი განმარტებით, არაკეთილსინდისიერი მეწარმეები მარცვლეულის რეალიზაციის დროს საგადასახადო დოკუმენტაციას აყალბებენ, რაც შემდგომში მათ პრობლემებს უქმნის.

– ძალიან ძნელია ადგილობრივი და იმპორტული მარცვლეულის ერთმანეთისგან გარჩევა. საუბარია არაკეთილსინდისიერ მეწარმეებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, ბევრია. ისინი გაძლევენ ყალბ დღგ-ის საბუთს, რომლის იდენტიფიცირებას ვერ მოახდენ, არც კანონი გავალდებულებს მათ შორის.

ძალიან ხშირი იყო ასეთი შემთხვევები და სადღაც 90% მეფრინველეობისა დაზარალებული ვართ, იმიტომ რომ არაკეთილსინდისიერმა მეწარმეებმა შეცდომაში შეგვიყვანეს, გვითხრეს რომ ეს იყო იმპორტირებული მარცვლეული და აღმოჩნდა ქართული, არ ჩაგვითალეს დღგ, დაგვაწერეს ჯარიმები. ადრე მსგავს შემთხვევებში მიდიოდი საგადასახადოში და გაძლევდნენ საბუთს, დღგ-ს ფაქტურა ერქვა, თავისი ნომრით და ყველაფრით, ახლა უკვე ამ საბუთის ელექტრონულად გადაგზავნა ხდება, კომპიუტერს შეუძლია ელექტრონულად ყალბიც გადაგზავნოს, იქ ხომ ნომერს შენ თვითონ უთითებ და არ ჩანს, იმის უკან რა დგას.

შემოსავლების სამსახურს შეუძლია ამის დადგენა ერთ თვეში, მაგრამ რატომღაც ჩვენს შემთხვევაში ამას ცხრა თვე მოანდომეს. ამჯერად მიდის ჩვენი სასამართლოები და იმის მაგივრად, რომ გაძლიერებასა და გაფართოებაზე ვიზრუნოთ, ვდავობთ და ვართ ამ მდგომარეობაში, – განაცხადა ზურაბ უჩუმბეგაშვილმა.

# სომხეთმა 50 ტონა ბრაზილიური ქათმის ფილე საზღვარზე დაბლოკა



სომხეთმა 50 ტონა ბრაზილიური ქათმის ფილე საზღვარზე დაბლოკა. ინფორმაციას სომხური მედია ავრცელებს. მათი ცნობით, სომხეთის სურსათის უვნებლობის სამსახურმა გადაწყვეტილება ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე მიიღო. უწყება აღნიშნავს, რომ ხორცმა ვერ დააკმაყოფილა სტანდარტები და დარღვევები აღმოჩნდა ბაქტერია სალმონელასთან დაკავშირებით. მედია აღნიშნავს, რომ მოხდება პროდუქციის ან რეექსპორტი, ან განადგურება.

კონტროლის საფუძველზე თებერვლის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის დარღვევები დაფიქსირდა, მათ შორის დოკუმენტაციის შეუსაბამობასთან დაკავშირებით.

სომხურმა მარეგულირებელმა დარღვევები აღმოაჩინა 240 კგ სოიოს სოუსთან დაკავშირებით, 77 კგ ბატის ხორცთან, ასევე 116 კილოგრამ მიწის თხილის ფქვილთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთიდან შევიდა და 128 კგ. საღეჭ რეზინთან დაკავშირებით, რომელიც ქვეყანაში ამერიკიდან შედიოდა.

# როგორ განვითარდება თბილისში ღამის ეკონომიკა?



ღამის ეკონომიკის განვითარების კონცეფციის პროექტის ხელმძღვანელი სერგი გვარჯალაძე თბილისის მერიაში კონცეფციის პროექტს უახლოეს 2-3 კვირაში წარადგენს. ამის შესახებ „კომერსანტს“ თავად გვარჯალაძემ განუცხადა. მისი ინფორმაციით, ამჟამად იმის ანალიზი ტარდება, თუ რა პრობლემატიკაა დედაქალაქში.

როგორც გვარჯალაძე განმარტავს, ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ იქნება დალაგებული ღამის ეკონომიკის განვითარების პარალელურად ხმაურის საკითხი. მისი ინფორმაციით, ბიზნესი და ეს პროექტი მუსიკის გარეშე ვერ განვითარდება, ხოლო მეორე მხარეს არიან მოქალაქეები, რომლებსაც ეს ხმაური შეაწუხებთ.

– ეს თემა როგორ დალაგდება, ამაზე სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ. ასევე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ იმოქმედებს კრეატიული ინდუსტრია. პრინციპულად წინააღმდეგი ვარ იმისი, რომ მერიის მიერ დაგეგმილი პროექტების მიხედვით დაიწყოს ეს ყველაფერი. ეს პირიქით უნდა მოხდეს. ინიციატივა მერიისგან წამოვიდა, იდეები კი ბიზნესიდან უნდა წამოვიდეს, – აცხადებს გვარჯალაძე.

მისი განცხადებით, მას შემდეგ, რაც კონცეფცია მერიაში შევა, ბიზნესთან აქტიური შეხვედრებიც დაიწყება, რომლის შემდეგაც პროექტის განვითარების 2-წლიანი სტრატეგია დაიდება, საბოლოოდ კი ამას თბილისის მერია დაამტკიცებს. გვარჯალაძის განცხადებით, დაიგეგმება შეხვედრები მუზეუმების, ბიბლიოთეკების და კულტურის წარმომადგენლებთან. ასევე საერთაშორისო ჯგუფებთან, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ.

მისი განცხადებით, აუცილებელია, დადებული სტრატეგიით ბიზნესი დაინტერესდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში პროექტი ვერ იქნება წარმატებული.

– ჩვენ შეგვიძლია მათ ხელი შევუწყოთ ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით და მერე უკვე რეალიზება თავად ბიზნესმა და კრეატიულმა ინდუსტრიამ მოახდინოს. დღეს თბილისში სასტუმროს ოთახები არ გვყოფნის, ნაკლებია რესტორნებიც. ტურისტების ნაკადი კი დიდია. ღამე გამოდის ტურისტი, რეალურად ფული ჯიბეში აქვს, მზად არის დასახარჯად, თუმცა, მას გარეთ არაფერი არ ხვდება. ბიზნესი ამას უჩვენოდაც დაინახავს, უბრალოდ, მას გარკვეული სახის ხელშეწყობა სჭირდება, – აცხადებს გვარჯალაძე.

კონკრეტულად რა ტიპის ხელშეწყობა ექნება ბიზნესს, გვარჯალაძე აცხადებს, რომ ამაზე მუშაობა და მსჯელობა ახლა მიმდინარეობს. მისი განცხადებით, არ არის გამორიცხული, ამას „სტრატაპების“ სახე მიეცეს.

– მომხრე ვარ, რომ ფინანსური დახმარება არ იყოს და მოხდეს როგორც მორალური, ისე ინფრასტრუქტურით დახმარება, – აცხადებს გვარჯალაძე.

კითხვაზე, თუ თბილისის რომელი უბანი ან გარეუბანი საჭიროებს უფრო მეტად განვითარებას, გვარჯალაძე აცხადებს, რომ, მაგალითად, გლდანში 240.000 კაცი ცხოვრობს და არანაირი გართობის ადგილი არ არის.

– უწევთ ქალაქის ცენტრში წამოსვლა. როგორც გლდანში ერთი ასეთი გართობის ობიექტი გაჩნდება, მეორე და მესამე მას ფეხდაფეხ მიჰყვება, – აცხადებს გვარჯალაძე.

კითხვაზე, ხომ არ მოხდება უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, მათ შორის, ნიუ იორკის ღამის ცხოვრების მერის, რომელიც იქაურმა მთავრობამ რამდენიმე დღის წინ დანიშნა, გვარჯალაძე განმარტავს, რომ ეს გამოცდილება შესწავლილია, თუმცა, არის პრინციპული განსხვავებები. მისი თქმით, ის პრობლემატიკა, რომელიც მაგალითად იქ არსებობს, ჩვენ ნაკლებად გვეხება.

რა ბიუჯეტი ექნება პროექტს და რამდენი ადამიანი იმუშავებს თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარებაზე, გვარჯალაძე აცხადებს, რომ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია ამ დროისთვის უცნობია.

– რაც შეეხება ჯგუფს, ეს იქნება ძალიან მცირე რაოდენობა. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ გამოვიყენებთ მერიის რესურსებსაც, რომლებსაც ისედაც ავალიათ მსგავს საკითხებზე მუშაობა, – აცხადებს გვარჯალაძე.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ კახა კალაძემ ღამის ეკონომიკის განვითარების კონცეფციის პროექტის ხელმძღვანელად, სერგი გვარჯალაძე წარადგინა და განაცხადა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელების საშუალებით, დედაქალაქის გარეუბნები განვითარდება.

კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ღამის ეკონომიკის განვითარება არის კონკრეტული პროექტი და არანაირი საქალაქო სამსახური თბილისის მერიაში არ იქმნება.

– რა კონცეფცია უნდა დაენახათ, როცა პროექტის ხელმძღვანელად ადამიანი გუშინ დავნიშნეთ?! ჯერ იყო ინტერპრეტაცია გაუგებარი პოლიტიკოსებისგან, რომ თითქოს ვაპირებთ ახალი სამსახურის შექმნას. ეს არის ძალიან დიდი ტყუილი და სიცრუე. რაც არ უნდა მოიტყუონ, რაც არ უნდა იცრუონ, რაც არ უნდა გამოიყენონ საკუთარი ტელევიზიები, არაფერი გამოუვათ, რადგან ჩვენ გვაქვს პირდაპირი კომუნიკაცია მოსახლეობასთან. ამის უამრავი შესაძლებლობა არსებობს, თუნდაც სოციალური ქსელი და მე საკმაოდ აქტიური ვარ, ხშირად მაქვს კომუნიკაცია ადამიანებთან. გარდა ამისა, ყოველდღიური შეხვედრებიც მაქვს. მოტყუების შესაძლებლობას არავის მივცემთ. არანაირი საქალაქო სამსახურის შექმნაზე არ არის საუბარი, ეს არის კონკრეტული პროექტი, ერთი რიგითი პროექტი, რომელსაც სჭირდება ხელმძღვანელი, როგორც ყველა პროექტს. შესაბამისად, სერგი გვარჯალაძე უხელმძღვანელებს ამ პროექტს და ჩვენ, ჩვენი მხრიდან, რაც მერიამ უნდა გააკეთოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ყველაფერს გავაკეთებთ, – განაცხადა კალაძემ.

# სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგება მზარდ ტრენდს ინარჩუნებს




2017 წელს სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ პირველ, მეორე და მესამე კვარტალში 21,05 მილიონი ლარი შეადგინა.

ბაზარზე რეგისტრირებული 16 სადაზღვევო კომპანიების მოზიდული სადაზღვევო პრემია 2017 წლის პირველ სამ კვარტალში 736,9 მლ. ლარს შეადგენს. თუ მონაცემებს 2016 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტალს შევადარებთ მოზიდული სადაზღვევო პრემია ჯამში 59,96 მლ. ლარით გაზრდილია. მაგალითად, სადაზღვევო ბაზრის ლიდერი კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ მოზიდული პრემია 2016 წლის I, II, და III კვარტალში ჯამში 146,38 მლ. ლარი იყო. 2017 წელს კი 188,36 მლ. ლარი შეადგინა.

დაზღვევის სახეობების მიხედვით მოზიდულ სადაზღვევო პრემიებში ყველაზე დიდი თანხა სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევაზე მოდის, რომელიც 368,89 მლ. ლარს შეადგენს.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გავრცელებული მონაცემების მიხედვით სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალის ოდენობა I, II, და III კვარტალში 347,38 მლ. ლარია.

2017 წლის მესამე კვარტალში 16 სადაზღვევო კომპანიის სულ გამომუშავებული პრემია – 303,42 მლ. ლარი, დამდგარი ზარალი კი 172,78 მლ. ლარი იყო.

III კვარტლის მონაცემებით, სამედიცინო დაზღვევის სახეობებში ლიდერი კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგია“. მას ბაზრის 31% უკავია. მეორე ადგილს 25%-ით იმედი L იკავებს. პსპ წილი ბაზარზე 15%-ია. შემდეგ პოზიციაზე კომპანია არდია 10%-ით. ირაოს ბაზრის 6% უკავია. ამ კომპანიების მიერ მოზიდული პრემია 140,75 მლ. ლარს შეადგენს.

როგორც „კომერსანტს“ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში განუცხადეს, 2017 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემები ორ კვირაში გახდება ცნობილი.

# დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების მაჩვენებელი 4-ჯერ გაიზარდა




ფინანსთა სამინისტრო მეწარმეებს მიმდინარე წელს 450 მილიონ ლარამდე დღგ-ს ზედმეტობას დაუბრუნებს, 3-წლიან გეგმაში კი აღნიშნული თანხის 650 მილიონამდე გაზრდა იგეგმება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილმა გადაცემა „საქმიან დილაში“ დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების 2-თვიანი პროცესი შეაჯამა.

– 4-ჯერ არის გაზრდილი დაბრუნებების რაოდენობა და უშუალო თანხაც. ჩვენი მოლოდინია ამ ტემპიდან გამომდინარე, რომ წლის ბოლომდე 400-450 მილიონს დავაბრუნებთ. მაშინ როცა გასულ წლებში დაბრუნება სტანდარტულად 220 მილიონს არ აღემატებოდა, – განაცხადა ხუციშვილმა.

მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ ამ ეტაპზე პროექტი მანუალურ რეჟიმში მიმდინარეობს, თუმცა პარალელურად იწერება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში, ელექტრონულად განახორციელებს დღგ-ს დაბრუნებას.

ხუციშვილი ვარაუდობს, რომ პროექტის შედეგად 0,3-0,4 პროცენტული პუნქტით მოხდება ეკონომიკური ზრდა.

## ტრამპი კიმს შეხვდება





ჩრდილოეთ კორეის დიქტატორმა კიმ ჩენ ინმა სამხრეთ კორეის სამთავრობო დელეგაცია მიიღო. კიმ ჩენ ინმა მათ განუცხადა, რომ მზადაა, აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს შეხვდეს.

— მოლაპარაკებებისას ყველა სადავო საკითხი გადაწყდება, — თქვა კიმ ჩენ ინმა.

თავად ტრამპმა განაცხადა, რომ ნებისმიერ დროს მზადაა, კიმ ჩენ ინს შეხვდეს, თუმცა სანქციები ძალაში დარჩება მანამ, სანამ ჩრდილოეთ კორეა თავის აგრესიულ პოლიტიკაზე უარს არ იტყვის.

## სკანდალი: სკრიპალს ტრამპის რუსული დოსიეს შემდგენელთან კონტაქტი ჰქონდა



ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს იმ შხამის შემადგენლობა, რომლითაც გრუ-ს ყოფილი ოფიცერი სკრიპალი მოწამლეს.

ესაა იშვიათი ნერვო-პარალიტიკური გაზი, რომლის არც ყიდვა შეიძლება, არც ჩვეულებრივ ლაბორატორიებში დამზადება. ის საგანგებო ლაბორატორიაში უნდა დაამზადონ. ამას გარდა, ესაა მასობრივი განადგურების იარაღი და მისი გამოყენება საერთაშორისო კონვენციებითაა აკრძალული. ამიტომაცაა, რომ ამ შხამის გამოყენებისას არა მხოლოდ სკრიპალი, არამედ მისი ქალიშვილი და იქვე მდგომი პოლიციელიც დაზარალდნენ.

ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ სკრიპალის მოწამვლას უწოდა უპრეცედენტო თავხედობა, რომელიც ინგლისის ტერიტორიაზე განხორციელდა.

— ამას საკადრისი პასუხი გაეცემა, — აცხადებს მეი.

ამავე დროს, მრავალი ექსპერტი თუ პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ მეი საკმარისად პრინციპული არ იქნება. რუსული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გარი კასპაროვმა განაცხადა, რომ ბრიტანეთს ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობაზე არასაკმარისი რეაგირება ჰქონდა.

— რუსეთის პრეზიდენტმაც ჩათვალა, რომ შეუძლია მკვლელობა კვლავაც ჩაიდინოს, — ამბობს კასპაროვი.

ამასობაში სკრიპალის გარშემო ახალი სენსაციური ფაქტები ამოტივტივდა. გაზეთ „ტელეგრაფის“ ცნობით, სკრიპალს კონტაქტი ჰქონდა ვინმე სტილთან, რომელმაც ტრამპის რუსული დოსიე შეადგინა.

## ბელარუსში სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს

ბელარუსში ცნობილი გახდა კირილე კაზაჩკასათვის სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ. კაზაჩკა 2017 წლის ოქტომბერში დახვრიტეს, თუმცა დედამისს ამის თაობაზე მხოლოდ რამდენიმე დღის წინ შეატყობინეს.

ბელარუსი ევროპის ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც სიკვდილით დასჯა არსებობს.

კაზაჩკა თავისი ქალიშვილისა და ვაჟის მკვლელობაში იქნა მხილებული. მან ეს ამაზრზენი დანაშაული უგონო სიმთვრალეში ჩაიდინა.



# რუსეთი უკრაინაში შეჭრისთვის მზადაა!



რუსეთში იმპერიულ-რევანშისტული ტენდენციების ზრდა დასავლეთის შეშფოთებას იწვევს. ამერიკულმა ანალიტიკურმა ცენტრმა რუსული პოლიტიკის ანალიზს დიდი ყურადღება დაუთმო.

ამ ცენტრის ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის ჰიბრიდულმა ომმა უკრაინაში ვერ გაამართლა. უკრაინამ დონბასის 87%-ის გათავისუფლება შეძლო. დღეს უკრაინული საზოგადოება კონსოლიდირებულია. სიდუხჭირისა და კორუფციის მიუხედავად, რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნება არავის სურს. პოროშენკოს ალტერნატივადაც პროუკრაინული ძალები მოიაზრებიან. შესაბამისად, რუსეთი დგება არჩევანის წინაშე: ან უკანდახევა, ან ომის უკვე ჩვეულებრივი მეთოდებით გაგრძელება.

— რუსეთის შეიარაღებული ძალები უკრაინაში შეჭრისა და ომის ჩვეულებრივი მეთოდებით გაგრძელებისთვის მზად არიან, — მიიჩნევს ამერიკული ცენტრი.

ანალიტიკოსების აზრით, საფრთხე ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც ემუქრებათ. რუსეთი მზადაა, რომ ამ რეგიონში ჰიბრიდული ომი გააჩაღოს, ანუ გაიმეოროს ის, რაც დონბასში განახორციელა: ბალტიისპირეთის რუსულენოვანი მოსახლეობის აჯანყების ინსპირირება, ფსევდორესპუბლიკების გამოცხადება, რუსულენოვანი მოსახლეობის დასაცავად რუსული ფორმირებების შეყვანა.

— ისმის კითხვა: მზადაა თუ არა დასავლეთი, უწინარეს ყოვლისა, აშშ, რათა რუსეთის ამ გამოწვევას სათანადოდ უპასუხოს? ვეჭვობთ, რომ არა, — თვლიან ხსენებულ ინსტიტუტში.

პენტაგონში ამას კატეგორიულად არ ეთანხმებიან. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე რუდსმა განაცხადა, რომ პუტინის აგრესიული რიტორიკა მოულოდნელი არ ყოფილა. აშშ ნებისმიერი გამოწვევისთვის მზადაა და აგრესორი საკადრის პასუხს მიიღებს.

— მსურს ამერიკის მოქალაქეები დავარწმუნო, რომ თავად ისინიც და ჩვენი მოკავშირეებიც საიმედოდ არიან დაცულნი, — თქვა რუდსმა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მატისი თავის ესტონელ კოლეგა ლუიკს შეხვდა. მატისმა მას განუცხადა, რომ აშშ ესტონეთის გვერდით დგას.

— ნებისმიერ აგრესორს საკადრისი პასუხი გაეცემა, — ამბობს მატისი.

ამერიკული არმია რუსეთისაზე უკეთესადაა გაწვრთნილი და აღჭურვილი. აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი რუსეთისას ბევრად აღემატება. მილიტარისტული და შოვინისტური ტენდენციების ზრდის მიუხედავად, რუსეთს აღარ შეუძლია, სამხედრო ხარჯები გაზარდოს. ომმა სირიასა და დონბასში ნათლად წარმოაჩინა, რომ რუსეთის არმიაში უდიდესი პრობლემებია. მოსკოვსაც ორი გამოსავალი დარჩა: დასავლეთთან კონფრონტაცია და ჩინეთთან ალიანსი; დასავლეთთან დიალოგი და აგრესიულ იმპერიულ ტენდენციებზე უარი.

ჩინეთთან ალიანსის შემთხვევაში მოსკოვი პეკინის ღარიბ სატელიტად გადაიქცევა. ჩინელებიც შორეული აღმოსავლეთის ათვისებას კიდევ უფრო მეტი ინტენსიურობით გააგრძელებენ. შესაბამისად, კრემლს არ რჩება სხვა გამოსავალი, გარდა აშშ-სთან დიალოგისა.

## რუსეთის პატრიარქს ბულგარეთის ვიცე-პრემიერმა სუკის აგენტი უწოდა



რუსეთის პატრიარქი კირილე სკანდალში გაეხვია. საუბარია ბულგარეთის თურქული უღლისგან გათავისუფლების 140-ე წლისთავის აღმნიშვნელ ზეიმზე, რომელზეც კირილე საპატიო სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული.

ბულგარეთის პრეზიდენტმა რადევმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც თურქული უღლისგან ბულგარეთის გათავისუფლებაში მონაწილეობა მიიღო: რუსებს, უკრაინელებს, ლატვიელებს, ფინელებს, ჩერნოგორიელებს და ა.შ. კირილეს ეს არ მოეწონა.

— ბულგარეთი გაათავისუფლა რუსეთის არმიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ სხვა ერების წარმომადგენლებიც, მაგრამ ეს იყო რუსეთის არმია, რომელიც რუსულმა სახელმწიფომ გაწვრთნა, დააფინანსა, შეაიარაღა, — განაცხადა პატრიარქმა.

ამ განცხადებამ ბულგარელები აღაშფოთა. ვიცეპრემიერმა სიმეონოვმა თქვა, ვწუხვარ, რომ დღესასწაულზე რუსეთის პატრიარქი დაპატიჟესო.

— რუსული ეკლესია ჟანდარმერიასთან თუ სუკთან მუდამ მჭიდროდ თანამშრომლობდა. გამონაკლისი არც კირილეა, რომელიც პატრიარქი კი არა, სუკის აგენტია! — თქვა სიმეონოვმა.

## უზბეკეთის პრეზიდენტი დუშანბეში ჩავიდა

უზბეკეთის პრეზიდენტი შავქათ მირზიოევი დუშანბეში ჩავიდა. ის თავის ტაჯიკ კოლეგა ემომალი რაჰმონს შეხვდება. მოლაპარაკებების ძირითადი თემა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებია.

თურქული წარმოშობის უზბეკები და სპარსი ტაჯიკები ერთმანეთს მუდამ მტრობდნენ. ამან მტკივნეულად იჩინა თავი 1918-20 წლებში, როცა შუა აზიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გაიშალა. მტრობა საბჭოთა ეპოქაშიც გაგრძელდა. ეს აისახა 1929-32 წლების მოვლენებზე, როცა შუა აზიაში კოლექტივიზაცია მიმდინარეობდა.

მტრობა შემდგომ წლებშიც გაგრძელდა.

— სპარსი ტაჯიკები ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი ღირებული, რაც შუა აზიაში შეიქმნა, ირანული კულტურის ნაწილია. უზბეკები ამაზე ძალიან ბრაზობდნენ, — წერს პროფესორი ბაიმირზა ჰაიტი.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ უზბეკეთსა და ტაჯიკეთს შორის რამდენიმეჯერ კინაღამ სამხედრო კონფლიქტი მოხდა. უზბეკეთის ამჟამინდელ ლიდერ მირზიოევს სურს, რომ მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს და მტრობას ბოლო მოუღოს.

## კოპენჰაგენში პეტერ მადსენის პროცესი დაიწყო

დანიაში პეტერ მადსენის სასამართლო პროცესი დაიწყო. ის ჟურნალისტ კიმ ვილის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ბრალდება ამტკიცებს, რომ მადსენმა ჟურნალისტი მოკლა, სხეული დაანაწევრა, შემდეგ კი ზღვაში გადააგდო.

ინჟინერი მადსენი ცნობილია, როგორც ყველაზე დიდი კერძო წყალქვეშა ნავის შემქმნელი. ჟურნალისტი კიმ ვილი, რომელიც „ნიუ იორკ ტაიმსზე“ მუშაობდა, მადსენის მიერ შექმნილ წყალქვეშა ნავ მატილუსზე წერდა. თავად მადსენი მკვლელობის ფაქტს უარყოფს და ამტკიცებს, რომ ჟურნალისტი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა.

## დონბასში გენერალი ვლადიმერ რუბანი დააკავეს



უკრაინის უშიშროების სამსახურმა ზაიცევოს მახლობლად გადამდგარი გენერალი ვლადიმერ რუბანი დააკავა. მას დიდი რაოდენობით იარაღი აღმოუჩინეს, მათ შორის ავტომატები, ნაღმმტყორცნები და ა.შ.

რუბანი მარიუპოლში წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

ვლადიმერ რუბანი „ტყვეთა გაცვლის ცენტრს“ ედგა სათავეში. ის აცხადებდა, რომ უკრაინელი ტყვეების დახსნისთვის იღვწოდა, სინამდვილეში კი გენერალი უკრაინაში რუსეთის გავლენის აგენტ ვიქტორ მედვედჩუკის კრეატურას წარმოადგენდა.

რუბანი უკრაინის ფედერალიზაციისა და რუსეთთან კავშირის მომხრეა. ის საჯაროდ აცხადებს, რომ სტეპან ბანდერა ფაშისტების დამქაში იყო, გმირებად კი კოვპაკს, საბუროვს, მედვედევსა თუ რუსეთის სხვა აგენტებს მიიჩნევდა.

ექსპერტები სვამენ კითხვას: როგორ მოხდა, რომ რუბანი, რომელიც უკრაინის შეიარაღებული ძალებიდან კარგა ხნის წინ დაითხოვეს, საბრძოლო მოქმედებების ზონაში ესოდენ თავისუფლად გადაადგილდებოდა? უკრაინის პარლამენტის დეპუტატ ვლადიმერ არიევის ცნობით, რუბანის დონბასური ვოიაჟები პირდაპირ კავშირშია გარკვეული ძალების მიერ კიევში საპროტესტო ტალღის აგორების მცდელობებთან.

— რუბანს იარაღი კიევში მიჰქონდა, რათა რუსებს იქ შეიარაღებული პროვოკაციები მოეწყოთ, — ამტკიცებს არიევი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# დიჯეი ლაშა კაცია პოლიციელებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს

ახალგაზრდა დიჯეი ლაშა კაცია, რომელიც ჟურნალისტ ნიკა კაციას ძმაა, პოლიციელებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებს.

**ლაშა კაცია:**

– ყველა ჟურნალისტის, ყველა ადვოკატის, ყველა არასამთავრობოს თუ რა ვიცი, ვისაც ეხება კიდევ... როგორც ჩვენი საამაყო პოლიცია მომექცა, ამ ამბავს ესე არ დავტოვებ. მე ამ საქმეს მოვიგებ ან შევეწირები!

როგორც ლაშა კაცია აცხადებს, ის სრულიად უსამართლოდ გადაიყვანეს განყოფილებაში და 4 საათის განმავლობაში სახაზინო ადვოკატისა და ოჯახში ზარის განხორციელების გარეშე წნეხის ქვეშ ამყოფეს.

**ლაშა კაცია:**

– სახლში დაბრუნებულმა სადარბაზოსთან ფარების ციმციმი შევნიშნე, რასაც ყურადღება მივაქციე. ამ დროს მანქანა წამოვიდა ჩემსკენ, საიდანაც გადმოვიდა სამი პიროვნება. მათ თანამშრომლების ფორმა ეცვათ. ჩემთან რომ მოვიდნენ, მოვთხოვე თავის წარდგენა, რადგან ეგრევე მითხრეს, რომ მათთვის მიმეწოდებინა პირადობის მოწმობა. თავის წარდგენაზე უარი განმიცხადეს და მითხრეს, რომ ფორმა უკვე ყველაფერზე მეტყველებდა. ვუთხარი, რომ უნიფორმის ყიდვა ნებისმიერ ადგილას შეიძლება, ამიტომ თავი უნდა წარედგინათ.



განწყობილები იყვნენ დამცინავად. პირადობა რომ მივაწოდე, დროულად აღარ დამიბრუნეს, ხან იქით გასწიეს, ხან აქეთ, ცდილობდნენ ფიზიკურად შემხებოდნენ, რამდენჯერმე ავირიდე. კითხვაზე, ჰქონდათ თუ არა ჩართული კამერები, მითხრეს, რომ კამერები არ ჰქონდათ. ჩემი კუთვნილი ტელეფონი ამოვიღე ჯიბიდან და დავიწყე ამ პროცესის გადაღება. ეს გახდა მათი უფრო დიდი აგრესიის მიზეზი. როცა ჩემგან წავიდნენ, კიდევ ერთხელ ვკითხე სახელი და გვარი და ვუთხარი, რომ გლდანი-ნაძალადევის მეორე განყოფილებაში ჩასვლა და საჩივრის დაწერა მინდოდა. ერთადერთი ვიფიქრე ის, რომ მანქანას გადავუღებდი ვიდეოს და ნომერს დავიმახსოვრებდი, რითაც მათი ვინაობის დადგენას შევძლებდი.

ამ დროს ფიზიკური ძალა იხმარეს, ტელეფონი წამართვეს და წამიყვანეს განყოფილებაში. იქ მითხრეს, რომ ჩემ მიერ ტელეფონის ჩართვა და გადაღება იყო პოლიციის შეურაცხყოფა. მოვითხოვე ზარის უფლება, მოვითხოვე სახაზინო ადვოკატი. 4 საათი ვიყავი განყოფილებაში და მეუბნებოდნენ, როცა სასამართლოში წარვდგებოდი, უნდა მეღიარებინა, რომ შეურაცხყოფა მივაყენე და გავუწიე წინააღმდეგობა. დაკავების მომენტში ნამდვილად გავუწიე წინააღმდეგობა, იმიტომ, რომ ისეთი ქცევა არ მქონია, რაზეც შეეძლოთ აღმკვეთი ღონისძიება გამოეყენებინათ.

# ნიჭიერთა ათწლედის მუსიკოსებმა მელიტონ ბალანჩივაძის კონკურსში გაიმარჯვეს

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლეებმა „მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე ეროვნულ კონკურსზე გაიმარჯვეს.

კონკურსის გრანპრი, პირველი პრემია და ლაურეატის წოდება ნანუკა გოლიაძემ მოიპოვა. გრანპრი გადაეცა ნინო ხოჭოლავას. მესამე პრემია და ლაურეატის წოდება ვახტანგ ზაალიშვილმა მიიღო. სპეციალური პრიზი „ქართული ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის“ გიორგი შენგელიას გადაეცა, საუკეთესო კონცერტმაისტერის ნომინაციაში კი საუკეთესოდ მარინა იაკობიშვილი დაასახელეს.

# რეჟისორი ოთარ ჯანგიშერაშვილი გარდაიცვალა

რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი რეჟისორი ოთარ ჯანგიშერაშვილი გარდაიცვალა.

როგორც მისმა მეგობრებმა გოგი დოლიძემ, მურაზ მურვანიძემ და მერაბ თავაძემ „ახალ თაობას“ განუცხადეს, ქართველი რეჟისორი რუსეთის სახალხო არტისტი, კონსტანტინე სტანისლავსკის პრემიის ლაურეატი, თეატრის საერთაშორისო აკადემიის წევრი და „ღირსების ორდენის“ კავალერი მიხეილ თუმანიშვილისა და დოდო ალექსიძის აღზრდილი იყო.

**გოგი დოლიძე:**

– ოთარი ღირსეულად აგრძელებდა თავისი სახელოვანი პედაგოგების შემოქმედებით გზას. ბოლო ხანებში იგი ჩვეული ენერგიულობითა და გამომგონებლობით ხელმძღვანელობდა მის მიერვე ჩამოყალიბებულ ვოლგოგრადის „ახალ ექსპერიმენტალურ თეატრს“ და უდიდესი წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ გული სულ აქეთ მოუწევდა, საბოლოოდ გადმოსასვლელად ემზადებოდა. სწორედ ჩვენი რეკომენდაციით შარშან საქართველოს მოქალაქეობა მიიღო, უმცროსი ვაჟიშვილიც მოგვანათვლინა, ჩაგვრთო სტალინგრადის ბრძოლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ სპექტაკლშიც, რომელიც თებერვალში უნდა ჩაეტარებინა...



**მურაზ მურვანიძე:**

– ვალმოხდილი წავიდა ჩვენი ყმაწვილკაცობის მეგობარი ამ ქვეყნიდან. პოეტის ცნობილ ფრაზას თუ ოდნავ გადავაკეთებთ, ერთ რეჟისორს სინდისით მეტი აღარც მოეთხოვებოდა...

**მერაბ თავაძე:**

– უფრო გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ გასაგები მიზეზების გამო, ვეღარც საბოლოო გზაზე ვაცილებთ, რის პატიებასაც ვთხოვთ ჩვენი ძვირფასი, უახლოესი მეგობრისა და ნიჭიერი კოლეგის ოთარ ჯანგიშერაშვილის სულს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# განახლებული იშხანი ვიზიტორებისთვის წელს გაიხსნება

თურქეთში, ტაო-კლარჯეთში მდებარე ქართული ტაძრის იშხნის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. განახლებული ეკლესიის ნახვა მსურველებს ამ წელს უკვე შეეძლებათ.

განახლებული იშხნის ფოტოები და უახლესი ინფორმაცია რესტავრირებული ტაძრის შესახებ ფოტოხელოვანმა კუკური მეტრეველმა გაავრცელა:



– იშხანი მოციქულთა სახელობის ტაძარი და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მდებარეობს ისტორიულ ტაოში, ამჟამად თურქეთის ართვინის მხარის, იუსუფელის რაიონის სოფელ იშხანში.

VII საუკუნის 30-იან წლებში ამ ადგილზე ეკლესია ეპისკოპოს ნერსესს აუშენებია, რომელიც არაბების შემოსევის დროს დანგრეულა. IX საუკუნის დასაწყისში საბა იშხნელს ფაქტიურად ახალი ტაძარი აუგია, რომელიც კიდევ ერთხელ X საუკუნეში განუახლებიათ. საბოლოო სახე ტაძარს 1032 ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, ხუროთმოძღვარ ივანე მორჩაისძის ხელში მიუღია.

ტაძარი თურქული მხარის მიერ ახალი რესტავრირებულია და მისი მნახველებისთვის გახსნა მიმდინარე წელს იგეგმება.


## მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

### სითხე მენტორი — 4

დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.

გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.

☎ 599-73-48-21



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ინგლისში მანჩესტერი-ლივერპულის დაპირისპირებას მოუთმენლად ელიან



## სტატისტიკა, ფსონები

**სასიამოვნო უქმეები უნდა გამოვიდეს ევროპაში. ინგლისში ისეთი მატჩია, რომელსაც დიდხანს ელიან ბრიტანელი გულშემატკივრები – მანჩესტერი-ლივერპული. ამ გუნდების დაპირისპირება იმაზე მეტია, ვიდრე მათივე თანაქალაქელებთან, სიტისა და ევერტონთან თამაში. იტალიაში ინტერი-ნაპოლია გამოსარჩევი, ხოლო ესპანეთში – სევილია-ვალენსია. ორივე მატჩს ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია.**

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.03 მანჩესტერი-ლივერპული | 2.6 | 3.4 | 2.62 |
| 10.03 ვესტ ჰემი-ბარნლი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 10.03 ჰადერსფილდი-სუონსი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 10.03 ევერტონი-ბრაიტონი | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 10.03 ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 10.03 ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 2.62 | 3.0 | 2.87 |
| 10.03 ჩელსი-კრ.პალასი | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 11.03 არსენალი-უოტფორდი | 1.5 | 4.4 | 6.0 |
| 11.03 ბორნმუთი-ტოტენჰემი | 5.5 | 4.33 | 1.53 |
| 12.03 სტოკი-სიტი 13.0 6.0 1.22 | | | |

**მანჩესტერი-ლივერპული**

მანჩესტერი: ტრავმ-მარკოს როხო, ფილ ჯონსი, ანდერ ერერა, მარუან ფელაინი, დეილი ბლინდი

ლივერპული: ტრავმ-არავინ

**ვესტ ჰემი-ბარნლი**

ვესტ ჰემი: ტრავმ-პედრო ობიანგი, ენდი კეროლი, ედმილსონ ფერნანდესი

ბარნლი: ტრავმ-სტივენ დეფო, ჯონათან უოლტერსი, რობი ბრეიდი, ტომ ჰატონი

**ჰადერსფილდი-სუონსი**

ჰადერსფილდი: ტრავმ-ელიას კაჩუნგა

სუონსი: ტრავმ-ლეროი ფერი, ანგელ რანგელი, ვილფრედ ბონი, რენატო სანჩესი

**ევერტონი-ბრაიტონი**

ევერტონი: ტრავმ-ელაქუიმ მანგალა, ჯეიმს მაკკარტნი

ბრაიტონი: ტრავმ-არავინ

ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი

ვესტ ბრომვიჩი: ტრავმ-დანიელ სტარიჯი, ჯეიმს მორისონი, ნასერ ჩადლი

**ლესტერი: ტრავმ-არავინ**

ნიუკასლი-საუთჰემპტონი

ნიუკასლი: ტრავმ-ჯონჯო შელვეი, ხესუს გამესი

საუთჰემპტონი: ტრავმ-მაია იოშიდა, ჩარლი ოსტინი

**ჩელსი-კრ.პალასი**

ჩელსი: ტრავმ-დავიდ ლუიზი, ტიემუ ბაკაიოკო

კრ.პალასი: ტრავმ-იოან კაბაიე, ჯოელ ვარდი, მამადუ სახო, ჯულიან სპერონი, ვილფრედ ზაჰა, ბაკარი საკო, ჯეისონ პუნჩეონი, სკოტ დანი

**არსენალი-უოტფორდი**

არსენალი: ტრავმ-ნაჩო მონრეალი, აკექსანდრ კალაზეტი, სანტი კაზორლა

უოტფორდი: ტრავმ-ჟერარდ დელოფეუ, ჟერომ სინკლერი, კრისტიან კაბასელე, ტომ კლევერლი, მოლა ვოგი, იუნის კაბული, ნათან ჩალობა

**ბორნმუთი-ტოტენჰემი**

ბორნმუთი: ტრავმ-ტაირონ მინგსი

ტოტენჰემი: ტრავმ-ტომი ალდერვეირელდი

**სტოკი-სიტი**

სტოკი: ტრავმ-ლი გრანტი

სიტი: ტრავმ-ფერნანდინიო, ბენჯამინ მენდი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 29 | 25 | 3 | 1 | 83-20 | 78 |
| 2.მანჩესტერი | 29 | 19 | 5 | 5 | 56-22 | 62 |
| 3.ლივერპული | 29 | 17 | 9 | 3 | 67-32 | 60 |
| 4.ტოტენჰემი | 29 | 17 | 7 | 5 | 55-24 | 58 |
| 5.ჩელსი | 29 | 16 | 5 | 8 | 50-26 | 53 |
| 6.არსენალი | 29 | 13 | 6 | 10 | 52-41 | 45 |
| 7.ბარნლი | 29 | 10 | 10 | 9 | 24-26 | 40 |
| 8.ლესტერი | 29 | 9 | 10 | 10 | 41-42 | 37 |
| 9.უოტფორდი | 29 | 10 | 6 | 13 | 39-47 | 36 |
| 10.ბრაიტონი | 29 | 8 | 10 | 11 | 28-38 | 34 |
| 11.ევერტონი | 29 | 9 | 7 | 13 | 33-49 | 34 |
| 12.ბორნმუთი | 29 | 8 | 9 | 12 | 34-44 | 33 |
| 13.სუონსი | 29 | 8 | 6 | 15 | 25-42 | 30 |
| 14.ვესტ ჰემი | 29 | 7 | 9 | 13 | 36-54 | 30 |
| 15.ჰადერსფილდი | 29 | 8 | 6 | 15 | 25-50 | 30 |
| 16.ნიუკასლი | 29 | 7 | 8 | 14 | 27-40 | 29 |
| 17.საუთჰემპტონი | 29 | 5 | 13 | 11 | 29-41 | 28 |
| 18.კრ.პალასი | 29 | 6 | 9 | 14 | 27-46 | 27 |
| 19.სტოკი | 29 | 6 | 9 | 14 | 28-54 | 27 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 3 | 11 | 15 | 22-43 | 20 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.03 ეიბარი-რეალი | 6.0 | 4.33 | 1.5 |
| 10.03 სევილია-ვალენსია | 2.1 | 3.6 | 3.3 |
| 10.03 ხეტაფე-ლევანტე | 1.7 | 3.4 | 5.5 |
| 10.03 მალაგა-ბარსელონა | 12.0 | 5.5 | 1.25 |
| 11.03 ესპანიოლი-სოსიედადი | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 11.03 ატლეტიკო-სელტა | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 11.03 ლას პალმასი-ვილიარეალი | 3.2 | 3.4 | 2.2 |
| 11.03 ბილბაო-ლეგანესი | 1.91 | 3.2 | 4.5 |
| 12.03 ალავესი-ბეტისი | 2.15 | 3.3 | 3.4 |

**ეიბარი-რეალი**

ეიბარი: ტრავმ-სერჟ ენრიჩი

რეალი: ტრავმ-არავინ

**სევილია-ვალენსია**

სევილია: ტრავმ-ხესუს ნავასი, ლიონელ კაროლე

ვალენსია: ტრავმ-ეზეკიელ გარაი

**ხეტაფე-ლევანტე**

ხეტაფე: ტრავმ-მიკელ ბერგარა

ლევანტე: ტრავმ-რაული, ალექს ალეგრია, ივან ლოპესი

**მალაგა-ბარსელონა**

მალაგა: ტრავმ-ადრიანი, რეკიო, ადალბერტო პენარანდა, ხუანკარი

ბარსელონა: ტრავმ-სელსონ სემედო

**ესპანიოლი-სოსიედადი**

ესპანიოლი: ტრავმ-სერხიო სანჩესი

სოსიედადი: ტრავმ-ხაბი პრიეტო, ჯერონიმო რული

**ატლეტიკო-სელტა**

ატლეტიკო: ტრავმ-არავინ

სელტა: ტრავმ-ენდრიუ ფონტასი

**ლას პალმასი-ვილიარეალი**

ლას პალმასი: ტრავმ-ხაირო სამპიერო, დანიელ კასტელანო, პედრო გიბასი, გაბრიელ პენაბლა

ვილიარეალი: ტრავმ-ნიკოლა სანსონე, ლეო სუარესი, ანდრეს ფერნანდესი

**ბილბაო-ლეგანესი**

ბილბაო: ტრავმ-მიკელ რიკო, მიკელ ბალენზიაგა, იკერ მუნიანი

ლეგანესი: ტრავმ-დარკო ბრაშანაჩი, ალექსანდერ შიმანოვსკი

**ალავესი-ბეტისი**

ალავესი: ტრავმ-კარლოს ვიგარაი

ბეტისი: ტრავმ-ზუჰარ ფედალი, ანტონიო სანაბრია

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 21 | 6 | 0 | 70-13 | 69 |
| 2.ატლეტიკო | 27 | 18 | 7 | 2 | 45-12 | 61 |
| 3.რეალი | 27 | 16 | 6 | 5 | 65-29 | 54 |
| 4.ვალენსია | 27 | 16 | 5 | 6 | 52-30 | 53 |
| 5.სევილია | 27 | 14 | 3 | 10 | 36-40 | 45 |
| 6.ვილიარეალი | 27 | 12 | 5 | 10 | 36-32 | 41 |
| 7.ხირონა | 27 | 11 | 7 | 9 | 38-36 | 40 |
| 8.ეიბარი | 27 | 11 | 6 | 10 | 34-39 | 39 |
| 9.სელტა | 27 | 11 | 5 | 11 | 45-39 | 38 |
| 10.ბეტისი | 27 | 11 | 4 | 12 | 43-52 | 37 |
| 11.ხეტაფე | 27 | 9 | 9 | 9 | 33-25 | 36 |
| 12.სოსიედადი | 27 | 9 | 6 | 12 | 49-48 | 33 |
| 13.ლეგანესი | 27 | 9 | 6 | 12 | 23-32 | 33 |
| 14.ბილბაო | 27 | 7 | 11 | 9 | 27-31 | 32 |
| 15.ესპანიოლი | 27 | 7 | 11 | 9 | 24-33 | 32 |
| 16.ალავესი | 27 | 10 | 1 | 16 | 24-39 | 31 |
| 17.ლევანტე | 27 | 3 | 12 | 12 | 22-42 | 21 |
| 18.ლას პალმასი | 27 | 5 | 5 | 17 | 20-55 | 20 |
| 19.დეპორტივო | 27 | 4 | 7 | 16 | 25-57 | 19 |
| 20.მალაგა | 27 | 3 | 4 | 20 | 16-43 | 13 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.03 ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი | 1.7 | 3.8 | 4.8 |
| 10.03 ჰერტა-ფრაიბურგი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 10.03 ბაიერნი-ჰამბურგი | 1.14 | 7.5 | 19.0 |
| 10.03 ჰანოვერი-აუგსბურგი | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 10.03 ლევერკუზენი-გლადბახი | 1.75 | 3.8 | 4.4 |
| 11.03 შტუტგარტი-ლაიპციგი | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 11.03 დორტმუნდი-აინტრახტი | 1.65 | 4.0 | 5.0 |
| 12.03 ვერდერი-კიოლნი | 1.83 | 3.6 | 4.2 |

**ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი**

ჰოფენჰაიმი: ტრავმ-შტეფან პოში, კერემ დემირბეი, ფელიქს პასლაკი

ვოლფსბურგი: ტრავმ-მარსელ ტისერანდი, იანიკ გერჰარდტი, ჯონ ბრუკსი, იაკუბ ბლაჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

**ჰერტა-ფრაიბურგი**

ჰერტა: ტრავმ-ვლადიმირ დარიდა

ფრაიბურგი: ტრავმ-მაინ ფრანცი, ფლორიან ნიდერლეხნერი

**ბაიერნი-ჰამბურგი**

ბაიერნი: ტრავმ-კინგსლი კომანი, მანუელ ნოიერი

ჰამბურგი: ტრავმ-ალბინ ეკდალი, ნიკოლა მიულერი

**ჰანოვერი-აუგსბურგი**

ჰანოვერი: ტრავმ-ფელიქს კლაუსი, მანუელ შმიდელბახი

აუგსბურგი: ტრავმ-დანიეპ ოპარე, ალფრედ ფინბოგასონი, მარკო რიხტერი

**ლევერკუზენი-გლადბახი**

ლევერკუზენი: ტრავმ-არავინ

გლადბახი: ტრავმ-ლასლო ბენეში, რაფაელი, ოსკარ ვენდტი, ფაბიან ჯონსონი, იბრაჰიმა ტრაორე

**შტუტგარტი-ლაიპციგი**

შტუტგარტი: ტრავმ-მატიას ციმერმანი

ლაიპციგი: ტრავმ-მარსელ ჰალშტენბერგი

**დორტმუნდი-აინტრახტი**

დორტმუნდი: ტრავმ-რაფაელ გერერო, ანდრე იარმოლენკო

აინტრახტი: ტრავმ-ომას მასკარელი

**ვერდერი-კიოლნი**

ვერდერი: ტრავმ-ფინ ბარტელსი, ოლე კაუპერი

კიოლნი: ტრავმ-ბირკ რისა, კრისტიან კლემენსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 25 | 20 | 3 | 2 | 59-18 | 63 |
| 2.შალკე | 25 | 12 | 7 | 6 | 39-30 | 43 |
| 3.დორტმუნდი | 25 | 11 | 9 | 5 | 50-31 | 42 |
| 4.აინტრახტი | 25 | 12 | 6 | 7 | 33-27 | 42 |
| 5.ლევერკუზენი | 25 | 11 | 8 | 6 | 45-33 | 41 |
| 6.ლაიპციგი | 25 | 11 | 6 | 8 | 38-34 | 39 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 25 | 9 | 8 | 8 | 40-38 | 35 |
| 8.გლადბახი | 25 | 10 | 5 | 10 | 33-37 | 35 |
| 9.შტუტგარტი | 25 | 10 | 3 | 12 | 23-29 | 33 |
| 10.აუგსბურგი | 25 | 8 | 8 | 9 | 33-32 | 32 |
| 11.ჰანოვერი | 25 | 8 | 8 | 9 | 32-35 | 32 |
| 12.ჰერტა | 25 | 7 | 10 | 8 | 30-31 | 31 |
| 13.ფრაიბურგი | 25 | 6 | 11 | 8 | 25-42 | 29 |
| 14.ვერდერი | 25 | 6 | 9 | 10 | 24-30 | 27 |
| 15.ვოლფსბურგი | 25 | 4 | 13 | 8 | 28-33 | 25 |
| 16.მაინცი | 25 | 6 | 7 | 12 | 29-42 | 25 |
| 17.ჰამბურგი | 25 | 4 | 6 | 15 | 18-35 | 18 |
| 18.კიოლნი | 25 | 4 | 5 | 16 | 24-46 | 17 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.03 ვერონა-კიევო | 3.3 | 3.2 | 2.25 |
| 11.03 ფიორენტინა-ბენევენტო | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 11.03 კროტონე-სამპდორია | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 11.03 ბოლონია-ატალანტა | 4.0 | 3.4 | 1.95 |
| 11.03 სასუოლო-სპალი | 2.0 | 3.3 | 4.0 |
| 11.03 იუვენტუსი-უდინეზე | 1.25 | 5.5 | 13.0 |
| 11.03 კალიარი-ლაციო | 4.8 | 3.8 | 1.7 |
| 11.03 ჯენოა-მილანი | 3.1 | 2.9 | 2.5 |
| 11.03 ინტერი-ნაპოლი | 3.6 | 3.5 | 2.0 |

**ვერონა-კიევო**

ვერონა: ტრავმ-ბრუნო პეტკოვიჩი, მატია ვალოტი, მოჰამედ ფარესი, ანტონიო კარაკიოლო, ალესიო ჩერჩი, მატია ძაგანი

კიევო: ტრავმ-ალესანდრო გამბერინი, ემანუელ ჯიაჩერინი, მეჰდი ლერისი, ნენად ტომოვიჩი

**ფიორენტინა-ბენევენტო**

ფიორენტინა: ტრავმ-მარკო ბენასი, ფედერიკო კიეზა, კრისტიანო ბირაგი

ბენევენტო: ტრავმ-ლორენცო დელ პინტო, სანდრო, მარკო დალესანდრო, ანდრეა კოსტა, ლუკა ანტეი

**კროტონე-სამპდორია**

კროტონე: ტრავმ-აჰმად ბენალი, ალექს გორდაზი, შტეფან სიმიჩი, მარკო კაპუანო, როლანდო მანდრაგორა, ფედერიკო ჩეჩერინი, ადრიან სტოიანი, მარკო ტუმინელო

სამპდორია: ტრავმ-

**ბოლონია-ატალანტა**

ბოლონია: ტრავმ-ანტონიო მირანტე, როდრიგო პალასიო, სებასტიან დე მაიო, ფილიპ ჰელანდერი, ანჯელო და კოსტა

ატალანტა: ტრავმ-ანდრეა პეტანა, რაფაელ ტოლოი

**სასუოლო-სპალი**

სასუოლო: ტრავმ-ალესანდრო მარტი, სიმონე მისიროლი, ანტონიო რაგუსა, ფედერიკო პელუსო

სპალი: ტრავმ-ეროს სკიავონი, ბარტოშ სალამონი, იასმინ კურტიჩი, მარკო ბორიელო

**იუვენტუსი-უდინეზე**

იუვენტუსი: ტრავმ-მატია დე შილიო, ფედერიკო ბერნანდესკი, ხუან კუადრადო

უდინეზე: ტრავმ-იაკუბ იანკო, დანილო, ანტონინ ბარაკი, კევინ ლასანგა

**კალიარი-ლაციო**

კალიარი: ტრავმ-ნიკოლო ბარელა, მარკო ანდრეოლი, ფაბიო პისანე, დიეგო ფარიასი, ლუკა გიგარინი, ლუკა ჩეპიტელი

ლაციო: ტრავმ-ვალასე

**ჯენოა-მილანი**

ჯენოა: ტრავმ-სანტიაგო ჯენტილეტი, ალეანდრო როსი, ადელ ტაარაბტი, მიგელ ველოსო

მილანი: ტრავმ-ლუკა ანტონელი, ლეონარდო ბონუჩი, ანდრეა კონტი

**ინტერი-ნაპოლი**

ინტერი: ტრავმ-ანდრეა რანოკია, მარსელო ბროზოვიჩი, დანილო ამბროზინი, ედერი

ნაპოლი: ტრავმ-კალიდუ კულიბალი, მარეკ ჰამშიკი, მარიო რუი, ვლად კირიკეში, ჟორჟინიო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 27 | 22 | 3 | 2 | 62-19 | 69 |
| 2.იუვენტუსი | 26 | 22 | 2 | 2 | 63-15 | 68 |
| 3.რომა | 27 | 16 | 5 | 6 | 44-23 | 53 |
| 4.ლაციო | 27 | 16 | 4 | 7 | 64-34 | 52 |
| 5.ინტერი | 26 | 14 | 9 | 3 | 42-21 | 51 |
| 6.სამპდორია | 26 | 13 | 5 | 8 | 46-34 | 44 |
| 7.მილანი | 26 | 13 | 5 | 8 | 37-30 | 44 |
| 8.ატალანტა | 25 | 10 | 8 | 7 | 37-29 | 38 |
| 9.ტორინო | 26 | 8 | 12 | 6 | 36-32 | 36 |
| 10.ფიორენტინა | 26 | 9 | 8 | 9 | 35-32 | 35 |
| 11.უდინეზე | 26 | 10 | 3 | 13 | 37-38 | 33 |
| 12.ბოლონია | 27 | 10 | 3 | 14 | 33-39 | 33 |
| 13.ჯენოა | 26 | 8 | 6 | 12 | 21-27 | 30 |
| 14.კიევო | 26 | 6 | 7 | 13 | 23-43 | 25 |
| 15.კალიარი | 26 | 7 | 4 | 15 | 23-41 | 25 |
| 16.სასუოლო | 26 | 6 | 5 | 15 | 15-46 | 23 |
| 17.სპალი | 27 | 5 | 8 | 14 | 27-49 | 23 |
| 18.კროტონე | 26 | 5 | 6 | 15 | 23-47 | 21 |
| 19.ვერონა | 26 | 5 | 4 | 17 | 24-51 | 19 |
| 20.ბენევენტო | 26 | 3 | 1 | 22 | 18-60 | 10 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 10.03 პსჟ-მეცი | 1.03 | 15.0 | 29.0 |
| 10.03 ლილი-მონპელიე | 3.0 | 2.9 | 2.6 |
| 10.03 დიჟონი-ამიენი | 1.85 | 3.4 | 4.4 |
| 10.03 რენი-სტ.ეტიენი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 10.03 ნანტი-ტრუა | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 10.03 ბორდო-ანჟე | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 11.03 გენგამი-ნიცა | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 11.03 ლიონი-კაენი | 1.44 | 4.6 | 6.5 |
| 11.03 ტულუზა-მარსელი | 4.33 | 3.5 | 1.85 |

**პსჟ-მეცი**

პსჟ: ტრავმ-ნეიმარი

მეცი: ტრავმ-ფლორენტ მოლე, ოპა ნგუეტე, ჟენ ჟოფრე, ფალოუ დიანე, ბენუა ასოუ-ეკოტუ, ტომას დიდილონი, კაფუ, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

**ლილი-მონპელიე**

ლილი: ტრავმ-ანვარ ელ-გაზი, კევინ მალკო

მონპელიე: ტრავმ-ჟერომ რუსილონი

**დიჟონი-ამიენი**

დიჟონი: ტრავმ-ხეკა

ამიენი: ტრავმ-კვენტინ კორნე

**რენი-სტ.ეტიენი**

რენი: ტრავმ-მეჰდი ზეფანე, ლუდოვიკ ბაალი

სტ.ეტიენი: ტრავმ-ჩეიკ მბენგუე

**ნანტი-ტრუა**

ნანტი: ტრავმ-დიეგო კარლოსი, ადრიან ტომასონი, კალიფა კულიბალი

ტრუა: ტრავმ-ადამა ნიანე, ბენჯამინ ნივე, ტრისტან დინომე

**ბორდო-ანჟე**

ბორდო: ტრავმ-იუნის სანკარე, სუაჰილო მეიტე, ტეო პელენარდი, ალექსნდრ მენდი, იგორ ლევჩუკი

ანჟე: ტრავმ-არავინ

**გენგამი-ნიცა**

გენგამი: ტრავმ-ჯონათან მარტინს პერეირა, აბდულ კამარა

ნიცა: ტრავმ-კრისტოფერ ჟალე, მიშელ ლე ბიანი

**ლიონი-კაენი**

ლიონი: ტრავმ-ნაბილ ფეკირი

კაენი: ტრავმ-დამიენ და სილვა, იუსუფ აიტ ბენასერი, ვინსენტ ბესა, ადამა მბენგუე

**ტულუზა-მარსელი**

ტულუზა: ტრავმ-ისიაგა სილა, იან ბოდიგერი

მარსელი: ტრავმ-გრეგუარ სერტიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 24 | 2 | 2 | 86-19 | 74 |
| 2.მონაკო | 28 | 18 | 6 | 4 | 69-30 | 60 |
| 3.მარსელი | 28 | 16 | 8 | 4 | 57-33 | 56 |
| 4.ლიონი | 28 | 14 | 9 | 5 | 58-34 | 51 |
| 5.რენი | 28 | 12 | 5 | 11 | 36-35 | 41 |
| 6.მონპელიე | 28 | 9 | 13 | 6 | 25-22 | 40 |
| 7.ნანტი | 28 | 11 | 7 | 10 | 28-29 | 40 |
| 8.ნიცა | 28 | 11 | 6 | 11 | 34-39 | 39 |
| 9.ბორდო | 28 | 10 | 6 | 12 | 33-37 | 36 |
| 10.დიჟონი | 28 | 10 | 6 | 12 | 40-54 | 36 |
| 11.გენგამი | 28 | 9 | 8 | 11 | 28-38 | 35 |
| 12.კაენი | 28 | 10 | 5 | 13 | 22-32 | 35 |
| 13.სტ.ეტიენი | 28 | 9 | 8 | 11 | 30-43 | 35 |
| 14.ანჟე | 28 | 7 | 10 | 11 | 32-40 | 31 |
| 15.სტრასბური | 28 | 8 | 7 | 13 | 32-49 | 31 |
| 16.ამიენი | 28 | 8 | 5 | 15 | 23-32 | 29 |
| 17.ტულუზა | 28 | 7 | 8 | 13 | 26-37 | 29 |
| 18.ტრუა | 28 | 8 | 4 | 16 | 24-38 | 28 |
| 19.ლილი | 28 | 7 | 6 | 15 | 27-45 | 27 |
| 20.მეცი | 28 | 5 | 5 | 18 | 26-50 | 20 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სისხლიანი 9 მარტის დღეები გორში — 1956 წელი



1956 წლის 9 მარტს თბილისში დაღუპულთა და დაჭრილთა ზუსტი რაოდენობა ჯერაც არ არის ცნობილი. შსს-ს საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით, ოფიციალური ინფორმაციით, სროლის შედეგად 27 ადამიანი დაიღუპა და 54 დაიჭრა, თუმცა, ,,საარქივო მოამბეც" და თვითმხილველებიც აცხადებენ, რომ მსხვერპლი ბევრად მეტი იყო და იმ დღეს 70-დან 100 კაცამდე დაიღუპა.

საღამოს 8 საათისთვის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. შეადგინეს მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდებისადმი მიმართვის ტექსტი მხარდაჭერის თხოვნით. შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც მიმართვა უნდა გაეგზავნა კავშირგაბმულობის სახლიდან. ისმოდა მუქარა, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში ხელში აიღებდნენ ფოსტა-ტელეგრაფს. სანაპიროზე ჩამწკრივდნენ ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები.

ხალხი ჯორჯიაშვილის ქუჩით დაიძრა კავშირგაბმულობის სახლისკენ. აქ, ახლოს მისულებს, სახურავიდან დაუშინეს ტყვიამფრქვევის ჯერი. პროსპექტზე მყოფ ჯარისკაცთა დაწოლით ხალხის ტალღამ უკან დაიხია სანაპიროსკენ. აქ მდგომმა ტანკებმა გასრისა სტალინის ძეგლის წინ მყოფი ხალხი. ტანკებს გადარჩენილი დემონსტრანტები სანაპიროს ჯებირებს მიაწყდნენ, რომელმაც ვერ გაუძლო მოწოლას და ადამიანები მტკვარში გადაცვივდნენ.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ 1956 წლის თებერვალში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა გააკეთა მოხსენება პიროვნების (სტალინის) კულტის შესახებ. ყრილობაზე გამომსვლელებმა, რომლებიც სტალინის ყველა სიტყვასა და ნამოქმედარს გენიალურს უწოდებდნენ, დაგმეს სტალინის პიროვნების კულტი.

მე-20 ყრილობის საიდუმლო ტექსტი მაშინვე ცნობილი გახდა საქართველოში. ქართველებმა მისი „საპროგრამო სიტყვა" ქართველი ერის შეურაცხყოფად აღიქვეს, რასაც თბილისსა და სხვა ქალაქებში დემონსტრაციები მოჰყვა. 1956 წლის 3 მარტიდან საპროტესტო აქციები დაიწყო თბილისში, გორში და სხვა ქალაქებში. ქართველმა სტუდენტებმა თბილისის ქუჩებში სტალინის პორტრეტებით მოაწყვეს მსვლელობა. 7 მარტს დემონსტრანტებს მოსწავლეებიც შეუერთდნენ. საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეთა რაოდენობამ რამდენიმე ათასს გადააჭარბა. დემონსტრანტებს ინტელიგენციის ნაწილი და მასში მონაწილე ახალგაზრდების მშობლებიც შეუერთდნენ. 8 მარტს კი დემონსტრანტებს მხარდაჭერა თბილისის სხვადასხვა ქარხნისა და ფაბრიკის მუშებმაც გამოუცხადეს.

„9 მარტის სისხლიანი მოვლენების" მკვლევარები წერენ, რომ აქციების დროს, ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ლოზუნგებიც ისმოდა.

ქ. გორში მოქალაქეთა გროვა სტალინის ძეგლთან 9 მარტის დილიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. ახალგაზრდები, სტუდენტები, კოლმეურნეები თბილისიდან, სხვა ქალაქებსა და რაიონებიდან მანქანებით, პლაკატებით, ლენინისა და სტალინის პორტრეტებით ორგანიზებულად მოედინებოდნენ. დღის მეორე ნახევარში ქალაქის მოედანი და მიმდებარე ქუჩები ხალხით იყო სავსე. გათავხედებული ახალგაზრდობა ცდილობდა თბილისი-მოსკოვის №14 მატარებელზე აჭრას. თავს დაესხნენ ქვებით, ჯოხებით, რკინის მილებით, ჩაამტვრიეს მინები და მატარებლის მოძრაობა შეაყოვნეს 38 წუთით.

შსს არქივში დაცულია სისხლის სამართლის საქმე (საქ. №5624), რომელიც მაყვალა ალექსანდრეს ასულ ოქროპირიძეზე, როგორც მიტინგის ერთ-ერთ ხელმძღვანელზე, აღიძრა. მასში დევს დოკუმენტი, რომელიც ქრონოლიგიური სიზუსტით აღწერს გორში განვითარებულ მოვლენებს...

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავთან დაკავშირებით, 1956 წლის 5, 6, 7 და 8 მარტს ქალაქ გორისა და საქართველოს სხვა ქალაქების მცხოვრებლები მიდიოდნენ სტალინის სახელობის მოედანზე და მის ძეგლს გვირგვინებით ამკობდნენ. ქალაქის ახალგაზრდობა უწყვეტ რეჟიმში მორიგეობდა, მონუმენტთან მუდამ იდგა საპატიო ყარაული. მოედანზე კარავი იყო გაშლილი, იქვე ახლოს კოცონი ენთო, სადაც მორიგეები თბებოდნენ.

საპატიო ყარაულის ცვლას 1926 წელს დაბადებული, უპარტიო, არტელ ,,ლიახვის" მკერავი მერი იოსების ასული ჯიოევა ხელმძღვანელობდა. იგი საკუთარ თავს ხან ჯულაევად, ხან კი ჯულაშვილად მოიხსენიებდა.

აღნიშნულ დღეებში ტრიბუნაზე გამოდიოდნენ სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები. წარმოთქვამდნენ ლექსებს, რომლებიც, ძირითადად, სტალინის ხსოვნას ეძღვნებოდა. ლექსების უმრავლესობა ბელადის სიცოცხლეშივე იყო შექმნილი. მათი შინაარსი არ იყო ანტისაბჭოთა ან ანტიპარტიული და არც ვინმეს წინააღმდეგ მიმართული.

ქალაქში გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობა 1956 წლის 9 მარტს აღნიშნავს სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავს, გორში დიდი რეზონანსი მოჰყვა. 9 მარტს სტალინის სახელობის მოედანზე დილიდანვე დაიწყო ხალხის მოზღვავება. ქალაქში მიტინგი ოფიციალურად 13:00 საათზე უნდა დაწყებულიყო.

დაახლოებით 12:00 საათზე ტრიბუნაზე მიკროფონები და რეპროდუქტორები დააყენეს, ამ ფაქტმა ახალგაზრდობა აღაფრთოვანა, რადგან მიტინგი უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისიდან ჩასულ სტუდენტებს თან ჰქონდათ მიკროფონები და ხმის გამაძლიერებლები იმ შემთხვევისთვის, თუკი მიტინგის მსვლელობისას რაიმე ტექნიკური პრობლემები წარმოიქმნებოდა.

13:00 საათზე ტრიბუნაზე ქალაქის პარტიული ელიტის წარმომადგენლები ავიდნენ. მიტინგი მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გრიგოლ ზერეკიძემ გახსნა და სიტყვა მან საქართველოს კპ გორის რაიკომის მდივანს, XX საკავშირო პარტიული ყრილობის დელეგატს, იოსებ რთველიაშვილს გადასცა.

ალსანიშნავია, რომ რთველიაშვილის გამოსვლის დროს, ჭავჭავაძის ქუჩიდან მომიტინგეებს ნელი სვლით სატვირთო მანქანა მიუახლოვდა, რომელზეც განთავსებული იყო დეკორაციები სპექტაკლიდან – ,,ბელადის სიყმაწვილე". მსახიობებმა იქვე წარმოადგინეს ნაწყვეტი აღნიშნული დადგმიდან. ლენინის როლს ასრულებდა ლომიძე, ხოლო სტალინისას – არაქელოვი.

სპექტაკლის ეს ფრაგმენტი დამახინჯებული იყო, განსაკუთრებით ის სცენა, როდესაც გენერალსიმუსის ფორმაში გამოწყობილი სტალინი ხვდება ლენინს, რომელსაც უბრალო ჯარისკაცის ფორმა ეცვა. მანქანის კაბინაში თეატრის მთავარი რეჟისორი სიმონ გიორგის ძე ვაჩნაძე იჯდა. როცა სატვირთო მანქანა ტრიბუნის საპირისპიროდ გაჩერდა, ის წამოიმართა და მხურვალე ტექსტი წარმოთქვა.

ამ დროს სიტყვით რთველიაშვილი გამოდიოდა, რომელსაც ვაჩნაძემ, ფაქტობრივად, გამოსვლა შეაწყვეტინა. რეჟისორი ხალხს დაჰპირდა, რომ თეატრი შეეცდება, უფრო მეტად გააღრმავოს შემოქმედებითი პროცესი და დახვეწოს ბელადების სახეები. ამის შემდეგ მსახიობები გაემართნენ სტალინის სახლ-მუზეუმისკენ, მოგვიანებით კი გაემგზავრნენ თბილისში, რათა სტალინის ძეგლთან მიმდინარე აქციის მონაწილეებისთვის სოლიდარობა გამოეცხადებინათ.

მსახიობებს ამგვარი გამოსვლები და, მით უმეტეს, თბილისში გამგზავრება გორის ქალაქკომის მდივნის მიერ სასტიკად ჰქონდათ აკრძალული. ეს თეატრის რეჟისორმა ვაჩნაძემ იცოდა, მაგრამ უმაღლესი პარტიული ორგანოების მითითებებს არ დაემორჩილა.

ამხანაგ გრიგოლ ზერეკიძეს მიტინგის დასრულება სურდა, ამის საშუალება კი ტრიბუნაზე მყოფმა ახალგაზრდებმა არ მისცეს. ისინი, ძირითადად, თბილისიდან ჩასული მოხულიგნო ელემენტები იყვნენ.

მათ დაბლოკეს მიკროფონთან მისასვლელი გზა და ქალაქის უმაღლესი პარტიული ორგანოების წარმომადგენლები ტრიბუნას ჩამოაშორეს. ამ დროს მიკროფონთან მივიდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, 1931 წელს დაბადებული აპოლონ ივანეს ძე ჟორდანია, რომელმაც ხალხს მიტინგის გაგრძელებისკენ მოუწოდა. მან ვრცლად ისაუბრა სტალინის დამსახურებაზე საბჭოთა ხალხის წინაშე, შემდეგ კი ერთმანეთს შეადარა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ნომენკლატურის წარმომადგენლების გამოსვლები მეცხრამეტე და მეოცე ყრილობებზე.

მოწმეთა ჩვენებით, ჟორდანიას თავის გამოსვლაში ანტისაბჭოთა ლოზუნგები არ გაუჟღერებია.

ჟორდანიას გამოსვლის შემდეგ მიკროფონთან მიდიოდა ყველა, ვისაც კი ამის სურვილი ჰქონდა. არასანქცირებული მიტინგის ხელმძღვანელობა კომკავშირის წევრმა, გაზეთ ,,სტალინელის" თანამშრომელმა, 1932 წელს დაბადებულმა მაყვალა ალექსანდრეს ასულმა ოქროპირიძემ ითავა. მან წაიკითხა მომიტინგეთაგან ანტისაბჭოთა შინაარსის წერილები.

გამომსვლელები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ... მოგვიანებით მილიციამ მაყვალა ოქროპირიძე დააპატიმრა.

1956 წლის 9 მარტის საღამოს მომიტინგეებს კომუნისტური პარტიის წევრმა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა, 1912 წელს დაბადებულმა სიმონ ალმასხანის ძე ციცქიშვილმა მიმართა. ის მიესალმა ახალგაზრდების წამოწყებას და განაცხადა:

– დროა, ზოგიერთი პოლიტიკური საკითხი ხალხმა გადაწყვიტოსო. მან იმედი გამოთქვა, რომ სტუდენტები დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. გამოსვლა კი დაასრულა ლოზუნგით ,,გაუმარჯოს ხალხის ძალას!"

ს. ციცქიშვილის შემდეგ მიკროფონთან მივიდა საქ. კპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს ინსტიტუტის გორის ფილიალის დირექტორი მაზმიშვილი, რომელმაც განაცხადა: XX საკავშირო პარტიულ ყრილობაზე ,,პიროვნების კულტის" წარმოთქმული გამოსვლა არ ეხება არც სტალინს, არც მარქსს და ენგელსს, რადგან ისინი უბრალო მოღვაწეები არ ყოფილან და მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსებს წარმოადგენენ, რომლებმაც ადამიანთა ცხოვრება რადიკალურად შეცვალეს.

9 მარტს, ოფიციალური მიტინგის დასრულების შემდეგ, მაყვალა ოქროპირიძემ რამდენჯერმე გამოაცხადა, რომ მოეყვანათ გორის რაიკომის მდივანი რთველიაშვილი, რათა მას ხალხისთვის დაწვრილებით მოეთხრო XX პარტიული ყრილობის დეტალები.

მომიტინგეებს ახალგაზრდების დიდი ნაწილი გამოეყო. ისინი რთველიაშვილის სახლისკენ გაემართნენ. მათ შორის იყო გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის კომკავშირის მდივანი დვალი. სახლში შეჭრილ ახალგაზრდებს რაიკომის მდივანი ადგილზე არ დახვდათ. ხალხი რაიკომისკენ დაიძრა, მაგრამ რთველიაშვილმა მოასწრო და სოფელ ხელთუბანს შეაფარა თავი.

მიტინგზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მილიციამ დააკავა პიროვნება, რომელმაც რესტორანში ვითომდა სტალინის სადიდებელი სადღეგრძელო წარმოთქვა. აქციის მონაწილეებმა მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს. მომიტინგეებს დაახლოებით სამასამდე ადამიანი გამოეყო. ისინი ქალაქის მილიციის შენობისკენ გაემართნენ. ადგილზე მისულებმა მორიგეს დაკავებული პირის

გათავისუფლება მოსთხოვეს. საქართველოს სსრ მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ გიორგი შალამბერიძის განკარგულებით, დაკავებული კვიცარიძე გაათავისუფლეს, რომელიც სინამდვილეში ხულიგნობის გამო იყო დაპატიმრებული. გათავისუფლებული კვიცარიძე მიტინგზე მივიდა და სიტყვით გამოვიდა. სამი დღის შემდეგ მილიციამ ის კვლავ დააპატიმრა და ხულიგნობისთვის გაასამართლა.

9 მარტს, საღამოს, როდესაც მიტინგზე პროვოკაციული გამოსვლები გახშირდა, სიტყვით გამოვიდა გორის გაერთიანებული სამხედრო კომისარიატის პირველი ნაწილის ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი კუხიანიძე. იგი მოგვიანებით მილიციამ დააპატიმრა.

10 მარტს, ღამით, სტალინის მოედანზე მხოლოდ მორიგეები იმყოფებოდნენ, მათ მიუახლოვდა ,,ზიმის" მარკის ავტომანქანა ტაქსის ტრაფარეტით. მანქანიდან დაახლოებით ცხრა ადამიანი გადმოვიდა, თან ჰქონდათ წითელი დროშა, რომელიც საპატიო ყარაულში მდგომ ახალგაზრდებს აჩვენეს და უთხრეს, რომ ეს დროშა მათი თანამოძმეების სისხლით იყო გაჟღენთილი, რომლებიც 9 მარტს თბილისში დახვრიტეს.

ამის დასტურად ერთ-ერთმა სტუმარმა სთხოვა, სისხლიან დროშას ხელით შეხებოდნენ...

ის მართლაც სისხლიანი აღმოჩნდა. შემდეგ სტუმრები საპატიო ყარაულში მდგომ ახალგაზრდასთან ერთად მანქანაში ჩასხდნენ და გორის პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლისკენ გაემართნენ.

უცნობმა პიროვნებამ ავტომობილიდან დროშა გადმოიღო, საერთო საცხოვრებელში შევიდა და სტუდენტებს აჩვენა, თან უამბობდა, თუ როგორი სისასტიკით გაუსწორდნენ თბილისში მომიტინგეებს და როგორ დახვრიტეს აქციის მონაწილეები. ბოლოს კი სთხოვა, მომიტინგეთა მხარდასაჭერად დედაქალაქში წასულიყვნენ... ახალგაზრდების ნაწილი გორის ცენტრისკენ დაიძრა.

მღელვარება პიკს აღწევდა. სტუდენტები სტალინის მოედნიდან გორის ბამბეულის კომბინატისკენ დაიძრნენ. ადგილზე მისულებმა ყარაული მოხსნეს და ერთ-ერთ ცეხში შევიდნენ. მუშებს აჩვენეს სისხლიანი დროშა, აუხსნეს საქმის ვითარება და სთხოვეს,

სამუშაო შეეწყვიტათ და მომიტინგეთა მხარდასაჭერად თბილისში წასულიყვნენ. მათ დანარჩენი მუშებიც გააღვიძეს და დაახლოებით სამასამდე კაცი გორის სატრანსპორტო კანტორისკენ დაიძრა.

ადგილზე მისულები ლობეზე გადაძვრნენ, ავტოსადგომიდან გამოიყვანეს სამი ავტობუსი, ერთი სატვირთო მანქანა და თბილისისკენ გაემგზავრნენ. მომიტინგეთა ნაწილმა, რომელთათვისაც ტრანსპორტში ადგილი არ მოიძებნა, მატარებლით დააპირა დედაქალაქში ჩასვლა. ზემოთ ხსენებული ცხრა პირი, ვინც 10 მარტს ღამით თბილისიდან გორში ჩავიდა, მცხეთაში დააკავეს. ჩხრეკის დროს დროშა არ აღმოაჩნდათ. მცხეთაშივე დააკავეს ავტობუსები და მგზავრები ჩამოსვეს, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს რკინიგზის სადგურამდე მისვლა და თბილისში მატარებლით ჩავიდნენ.

დროშებითა და ბელადის პორტრეტებით ,,შეიარაღებულნი", ჩელუსკინელების ქუჩისკენ გაემართნენ. როგორც კი პლეხანოვის პროსპექტს მიუახლოვდნენ, სამხედრო პატრულმა დააკავა და ყველა ერთად სპეციალური ვაგონებით უკან, გორში გააბრუნა.

1956 წლის 10 მარტს გორში, სტალინის სახელობის მოედანზე, მიტინგი კვლავ გაგრძელდა, მაგრამ ხალხის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. კომკავშირის წევრმა, ქარელის რაიონის სოფელ დირბში მცხოვრებმა, 1931 წელს დაბადებულმა ზინა არსენის ასულ გავაშელიშვილმა, თოჯინებით იმპროვიზირებული წარმოდგენა დადგა. მოგვიანებით ეს პიროვნება მილიციამ დააკავა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრა.

9 და 10 მარტის მიტინგში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქალაქ გორში მცხოვრები, 1931 წელს დაბადებული, უპარტიო, პროფესიით მხატვარი რემიკ იოსების ძე სტეპანოვი. ის აგროვებდა მომიტინგეთა შინაარსის წერილებსა და განცხადებებს.

როდესაც გამოცხადდა, რომ მიტინგი გვიან ღამემდე გაგრძელდებოდა, მოსწავლე-ახალგაზრდების ნაწილი მონუმენტთან სამორიგეოდ დარჩა. 1956 წლის 11 მარტს ღამით ქალაქ გორში, სტალინის სახელობის მოედანზე, მილიციის თანამშრომლებმა 39 ადამიანი დააკავეს. მათი უმრავლესობა სკოლის მოსწავლე იყო. ამის შემდეგ მთლიანი ტერიტორია საჯარისო ფორმირებებმა დაიკავეს, სრული ბლოკირება მოახდინეს და ტრიბუნაზე აღარავის უშვებდნენ.

ქართლი.გე

ბუკინისტი შეისყიდის
XVIII–XIX საუკუნის ძველებურ წიგნებს
1500 ლარად
ხელნაწერებს, გრავიურებს, ჟურნალებს, პლაკატებს,
ბარათებს, საბავშვო წიგნებს, 1945 წლამდე
საბჭოთა კავშირში გამოშვებულ
ფაიფურის სტატუებს 200 ლარად, ასევე ვერცხლის ჭურჭელს.

591-75 35 38

# ფრაიბურგის ყველა დროის სიმბოლურში ორი ქართველი მოხვდა

გერმანიის ბუნდესლიგის ვებგვერდმა საფეხბურთო კლუბ ფრაიბურგის ყველა დროის საუკეთესო ნაკრები შეადგინა, სადაც საქართველოს ნაკრების 2 ვეტერანი ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილიც მოხვდნენ. აღსანიშნავია, რომ მათთან ერთად სიმბოლურ ნაკრებშია გერმანიის ეროვნული გუნდის ამჟამინდელი თავკაცი იოაჰიმ ლიოვი.

მასალაში თითოეული ფეხბურთელის კარიერაა მოკლედ განხილული.

– ორი ქართველი ფეხბურთელი იმყოფება ამ თერთმეტეულში. ერთ-ერთი ლევან კობიაშვილი გახლავთ, რომელიც გერმანულ ფეხბურთში 1998-2014 წლებში მოღვაწეობდა. მან მიაღწია წარმატებას შალკესა და ჰერტასთან ერთად, თუმცა ის იყო ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა 1998 წელს ფრაიბურგის უმაღლეს დივიზიონში დაწინაურების საქმეში. მისი დებიუტი გერმანიაში სწორედ ამ წლის იანვარში შედგა.




კობიაშვილმა კლუბში 185 შეხვედრა ჩაატარა და 36 გოლის გატანა შეძლო. მათ შორის გამოსარჩევია 2000-01 წლების სეზონში გატანილი 7 გოლი, როდესაც ფრაიბურგმა ჩემპიონატი მეექვსე ადგილზე დაასრულა და უეფას თასზე გავიდა.

2015 წლიდან ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტს იკავებს.

მეორე ქართველი ფეხბურთელი, რომელიც ფრაიბურგის ყველა დროის საუკეთესო გუნდში მოხვდა, ალექსანდრე იაშვილია. მან ფრაიბურგის გულშემატკივრები 1997-2007 წლებში გაახარა. ის სტაბილურად კარგად თამაშობდა. იაშვილი მის პირველ სეზონში გუნდის უმაღლესში დაწინაურების გასაღები გახლდათ, მომდევნო წელს მან ბუნდესლიგაში 29 გოლი გაიტანა, რაც 2011 წლამდე კლუბის რეკორდი გახლდათ, ვიდრე მას პაპი სისე 2011 წელს დაამხობდა.

იაშვილმა კლუბი 2008 წელს დატოვა და კარლსრუეში გადაბარგდა. თუმცა მან ჩატარებული თითქმის 300 მატჩით ფრაიბურგის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა და გულშემატკივრებს თავი შეაყვარა. ის გახდა პირველი არაგერმანელი ფეხბურთელი, რომელმაც ფრაიბურგის მაისურით ყველაზე მეტ შეხვედრაში ითამაშა.

2004 და 2008 წელს ალექსანდრე საუკეთესო ქართველ ფეხბურთელად აღიარეს, ამჟამად ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ლევან კობიაშვილის გუნდის წევრია.

**ფრაიბურგის ყველა დროის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:**

რიხარდ გოლცი; საშა რიტერი, მათიას გინტერი, ლევან კობიაშვილი; ანდრეას ცაიერი, სუმაილა კულიბალი, ალექსანდრე იაშვილი, როდოლფო კარდოსო; პაპის სისე, იოახიმ ლიოვი, ნილს პეტერსენი

**მწვრთნელი:** ფოლკერ ფინკე

შეგახსენებთ, რომ ფრაიბურგში ასევე უთამაშიათ: ლევან ცქიტიშვილს, ზაზა ზამთარაძეს, დავით თარგამაძეს, გიორგი კიკნაძეს და ოთარ ხიზანეიშვილს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ინდონეზიაში ვეფხვი ჩამოახრჩვეს

ინდონეზიის ჩრდილოეთ სუმატრას პროვინციის სოფელ ხატუპანგანის მცხოვრებლებს იშვიათი სახეობის ვეფხვი მაქცია ეგონათ და მოკლეს. სოფელში ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვრცელდებოდა ხმები „სილუმანის" – ზებუნებრივი არსების გამოჩენის თაობაზე, რომელსაც სახის შეცვლა შეუძლია. კვირა დღეს სოფლის მცხოვრებლებმა ერთ-ერთი ქოხის ქვეშ მძინარე სუმატრული ვეფხვი შენიშნეს. მათ გადაწყვიტეს, რომ სწორედ ის



იყო „სილუმანი". ჩრდილოეთ სუმატრას ბუნების დაცვის სააგენტო შეეცადა, მტაცებლის მკვლელობა თავიდან აეცილებინა.

– ჩვენ ვესაუბრეთ სოფლის მცხოვრებლებს, ეროვნული არმიის ოფიცრებიც კი ჩავრთეთ საქმეში, მაგრამ მაინც არ მოგვისმინეს, – განაცხადა სააგენტოს ხელმძღვანელმა ხოტმაული სიანტურმა.

ინდონეზიური ტრადიციული მედიცინის მიმდევრები ვეფხვების ორგანოებს მალამოების დასამზადებლად იყენებენ. სიანტური ვარაუდობს, რომ იგივე მოხდა ამჯერადაც.

– ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ვეფხვის ორგანოები გაიყიდა, – განაცხადა სიანტურმა ერთ-ერთ გამოცემასთან საუბარში.

# ავსტრალიაში პირველმა ერთსქესიანთა ქორწინებამ მხოლოდ 48 დღე გაძლო



პირველი ერთსქესიანთა ქორწინება ავსტრალიაში 48 დღის შემდეგ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების გამო 48 დღის შემდეგ დასრულდა. ამ ინფორმაციას კვინსლენდის შტატის პარლამენტზე დაყრდნობით ერთ-ერთი სააგენტო ავრცელებს.

ჯო გრანტმა თავის მეგობარ გოგონა ჯილ კინდტზე 2017 წლის 15 დეკემბერს რვაწლიანი ურთიერთობის შემდეგ იქორწინა. ცერემონია მათი სახლის ბაღში გაიმართა, რომელიც სანშაინკოსტის რაიონში მდებარეობს. ის ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციიდან ერთი კვირის თავზე შედგა.

გრანტის ავადმყოფობის გამო ავსტრალიის ხელისუფლებამ მათ დაქორწინების ნება განცხადების შეტანიდან 30-დღიანი სავალდებულო მოლოდინის გარეშე დართო. ამგვარად ისინი ქვეყნის პირველი ჰომოსექსუალი წყვილი გახდნენ. გრანტი კიბოს იშვიათი ფორმით გარდაიცვალა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 10 მარტისათვის



**ვერძი** – ცრუ ინფორმაცია ხელსაყრელი შემოთავაზების მიღებაში ხელს გიშლით. სიყვარულში იმედი გიცრუვდებათ. **კურო** – საკუთარი ნიჭისა და პროფესიონალიზმის გამოსავლენად შანსი გეძლევათ. თამამად იმოქმედეთ. **ტყუპები** – წარმატებული დღეა, თუ, ცხადია, არ იზარმაცებთ და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. ნუ დაივიწყებთ ახლობლებს. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი არეალი ფართოვდება. მიზნის მისაღწევად დიდი გარჯა არ დაგჭირდებათ. **ლომი** – პარტნიორი გაგაწბილებთ. ცდუნებას არ აჰყვეთ და რეალობას დაუბრუნდით. **ქალწული** – საქმიანი პარტნიორის ბრმა ნდობამ შესაძლოა მატერიალურად დაგაზარალოთ. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად სათანადოდ გადაამოწმეთ. **სასწორი** – ენერგია გემატებათ. მოულოდნელი საჩუქარი ძალიან გაგახარებთ. **მორიელი** – კრიტიკული დღეა. ინტუიციას მიენდეთ. მეტი დრო გაატარეთ ბავშვების გარემოცვაში. **მშვილდოსანი** – აქტიურობა და ცოდნის არეალის გაფართოება დღეს გაამართლებს. ოპტიმისტურად განეწყვეთ. **თხის რქა** – კოლექტიურ საქმიანობას ვარსკვლავები არ გირჩევენ. უმჯობესია, თუ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად მიიღებთ. **მერწყული** – პარტნიორთან ურთიერთობისას ყურადღება გმართებთ. შესაძლოა მოგატყუონ. **თევზები** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა.

## 11 მარტისათვის

**ვერძი** – დღის პირველი ნახევარი კეთილისმყოფელია მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. წინდახედულობა გმართებთ. **კურო** – გათავისუფლდით ნეგატივისაგან. ვითარება მსუბუქად და ოპტიმისტურად მიიღეთ. **ტყუპები** – ეცადეთ, გარშემომყოფების პრობლემები გულთან ახლოს მიიტანოთ. დაეხმარეთ ადამიანებს, იყავით გულმოწყალე. **კირჩხიბი** – დაშვებული შეცდომების გააანალიზებისა და დასკვნების გაკეთების დროა. აჩქარება არ ივარგებს. **ლომი** – ხელსაყრელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. საღამოს ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **ქალწული** – გეგმები რადიკალურად გეცვლებათ. აქტიურობა და კოლექტიური მუშაობა გაუმართლებელია. **სასწორი** – წინდაუხედავ მოქმედებას ინანებთ. მიღებული შემოთავაზება გულმოდგინედ გააანალიზეთ. **მორიელი** – ნუ იქნებით ზედმეტად კატეგორიული. სიჯიუტე, უხეშობა და ეგოიზმი საქმეს ავნებს. **მშვილდოსანი** – კეთილგონიერება გამოიჩინეთ და ემოციებს ნუ აჰყვებით. სიმშვიდეს მოგანიჭებთ ბუნების წიაღში გასეირნება. **თხის რქა** – პარტნიორზე მცდარი წარმოდგენა პრობლემებს შეგიქმნით. ფინანსებს გაუფრთხილდით, მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. **მერწყული** – მორალურ პრინციპებს ნუ უღალატებთ. სამართლიანობა და ობიექტურობა დღის დევიზია. **თევზები** – შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ კოლეგებს, გაუზიარეთ ცოდნა, გამოცდილება. გულისხმას მოუსმინეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 3. მოკლე იუმორისტული, საესტრადო, საცირკო პიესა; 4. ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი, ფოროვანი მინერალი; 5. უბანი თბილისში; 7. ფუტკრის სადგომი; 11. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 15. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 16. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის შაშხი; 17. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 18. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 20. მგალობელი ჩიტი; 22. მცირეალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად:** 6. იანვრის ქართული სახელწოდება; 8. რაიმეს განხილვა შეფასების მიზნით; 9. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 10. რაიონული ცენტრი იმერეთში; 12. კვერნისებრთა ოჯახის ცხოველი; 13. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 14. მოკლელულიანი თოფი; 19. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ჯიში; 21. ქართველთა სათვისტომოს მამული საფრანგეთში; 23. აზერბაიჯანული ნაციონალური კერძი; 24. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 25. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 26. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ნაბადი; 2. ლიმა; 3. ჰერალდიკა; 4. ასაჰი; 5. ბოზბაში; 8. ძღვენი; 9. დისკოთეკა; 12. იამოტო; 14. ბუკერი; 16. აბაშა.

**თარაზულად**: 1. ნაბელლავი; 6. ნეგრესკო; 7. ბარძიმი; 9. დინასი; 10. რიწა; 11. ბენიასა; 13. დუბაი; 15. რაპირა; 17. საიგაკი; 18. ტოშიბა; 19. ფიორდი; 20. ფარაონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. მილუსკი; 2. ფსირცხა; 3. შტუტგარტი; 4. ხარება; 5. სტრიტი; 9. პაქტი; 10. სნუკერი; 14. მარკეტინგი; 15. მირანგულა; 16. ღალატი; 19. ბულიონი; 20. ტუნდრა; 21. ზიდანი.

**თარაზულად**: 6. კონოსამენტი; 7. ინფანტი; 8. ბუხარა; 11. გამბიტი; 12. შხუნა; 13. პრელატი; 17. დიოსკურია; 18. ხვანჭკარა; 22. ბულბული; 23. ტრიესტი; 24. ინსულინი; 25. ტარიბანა.

# სამგლოვიარო განცხადებები



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 2018 წლის 6 მარტს 73 წლის ასაკში გარდაიცვალა გეოფიზიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ინსტიტუტის ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორის ხელმძღვანელი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკად. მერაბ ალექსიძისა და მიხეილ ნოდიას სახელობის პრემიების ლაურეატი, თსუ-ს მედლის მფლობელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ავთანდილ კორძაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



მეტროპოლიტენის ელმომარაგების სამსახურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანამშრომლის, ბატონი ჯოტო კეშელავას მეუღლის, ქალბატონი

**იზო როჭიკაშვილი-კეშელავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 9, 10 მარტს;
დაკრძალვა: 11 მარტს, 14 საათზე;
მისამართი: ჯანაშიას 4.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 მარტისთვის

აშშ დოლარი — 2.4462

ევრო — 3.0431

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.397

100 რუსული რუბლი — 4.3018

## ამინდის პროგნოზი 10 მარტისთვის








**27 თებერვლიდან**

შიო გვეტაძე

**მონანიება**

ქართული დეტექტივი ტომი 14

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




**6 მარტიდან**

მაია ბურჭულაძე

**უფასო ბილეთი წარსულში**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

**8 მარტიდან**

60 ამბავი

**უცხოეთში დაკარგული ქართველები**




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




**13 მარტიდან**

ავთანდილ ბუხრაშვილი

**ქალი ჩანთაში**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

**15 მარტიდან**

100 ამბავი

**მსოფლიო მონარქები**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




**1 მარტიდან**

კანდიდ ჩარკვიანი

**სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები**

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## იუმორი

ბავშვი მამას ეკითხება:

— მამიკო, დედიკოზე რატომ დაქორწინდი?

კაცი ცოლს მიუბრუნდა და ეუბნება:

— ხედავ, ქალო, ბავშვსაც კი უკვირს!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ჩვენ სიკვდილი შავებში გამოწყობილი და ცელით ხელში გვეცხადება, ხოლო ბუზებს — ტრუსიკ-მაიკითა და ხელში დახვეული გაზეთით.

•••

გიგი სკოლაში დროზე მივიდა, წესიერად ჩაცმული, მშვიდად მიდის თავისი კლასისკენ, ყველანი მას გაოცებული მზერით მიაცილებენ და ერთმანეთს ეჩურჩულებიან:

— შეხედეთ, გიგი მოდის, არ დააგვიანა, მინა არ ჩაამტვრია, დედას არ იგინება, არავის ეჩხუბება.

ამ დროს გიგი საკლასო ოთახთან მივიდა, კარი გაიღო და მასწავლებელი გამოვიდა. გიგი მიმართავს:

— გამარჯობათ, მასწავლებელო.

მასწავლებელს გაოცებისგან წიგნები ხელიდან გაუვარდა და უცბად დაიყვირა:

— წადი, შენი დედაც...!!!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, დღეს შენი საყვარელი ვნახე...

— მ-მ-მერე?

— ეს შენი მხრიდან ღალატი კი არა, გმირობაა!!!

•••

სომეხს ეკითხებიან:

— სეროჟ, სექსი რომ შემოგთავაზონ, ერთხელ ასმიკასთან ან ორჯერ საქოსთან, რომელს აირჩევდი?

— ასმიკა, რა თქმა უნდა, ასმიკაა, მაგრამ ორჯერ მაინც სულ სხვაა!!!

•••

თვითმფრინავში ერთი მგზავრი მეორეს შესჩივის:

— ცუდად ვარ, საცაა გული ამერევა.

მეზობლად მჯდომი ეუბნება:

— შენს თავს ზევით ღილაკს ხომ ხედავ, თითი დააჭირე.

— დავაჭირე, მერე?

— რა და ახლა ბორტგამცილებელთან ნათურა აინთო.

— შენი დედაც... რა, თვითონ ვერ აანთებდა?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნეიმარი ბარსელონაში დაბრუნებაზე ფიქრობს



ბარსელონას ყოფილი ფეხბურთელი ნეიმარი კატალონიურ გუნდში დაბრუნებაზე ფიქრობს. ამის შესახებ უკვე აქტიურად იწერება ესპანურ პრესაში.

ნეიმარი თვლის, რომ მისი პსჟ-ში გადასვლა შეცდომა იყო და 2019 წლის ზაფხულში მას სურს, ისევ ბარსელონას მოთამაშე გახდეს.

ჯერჯერობით ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია თვითონ ნეიმარს, მაგრამ ბრაზილიელი ფეხბურთელი არც უარყოფს ამ ჭორებს.

მიუხედავად იმისა, რომ პსჟ-მ ზაფხულში უამრავი ფული დახარჯა, გუნდმა მაინც ვერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ბარიერის დაძლევა, ნეიმარმა კი ტრავმა მიიღო, რომლის გამოც 2 თვეს გამოტოვებს.

## ფრანგული ტურის ფეხბურთელი სახლში გარდაცვლილი იპოვეს



ფრანგული ტურის 18 წლის ფეხბურთელი ტომა როდრიგესი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გახდა მისი სიკვდილის მიზეზი. ტური საფრანგეთის მეორე დივიზიონში თამაშობს და შაბათს ბალენსიენთან ჰქონდა შეხვედრა, რომელიც როდრიგესის სიკვდილის გამო დროებით გადაიდო.

ამ კვირაში ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც ფეხბურთელს გარდაცვლილს ნახულობენ. შეგახსენებთ, რომ 4 მარტს ფიორენტინას კაპიტანი, 31 წლის დავიდე ასტორი სასტუმროს ნომერში გარდაცვლილი იპოვეს.

## იკერ კასილიასი ნიუკასლს მიუახლოვდა



პორტოს ესპანელი მეკარე იკერ კასილიასი პორტოდან წასვლას აპირებს, რადგან მას მწვრთნელთან კონფლიქტი აქვს, რის გამოც ის მოედანზე იშვიათად გამოდის. იკერის შეძენა რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს, მაგრამ ყველაზე ახლოს მიზანთან ნიუკასლია, რომელსაც რაფაელ ბენიტესი წვრთნის.

ბენიტესი იცნობს კასილიასს და ის ყველანაირად ეცდება, რომ იკერი ნიუკასლში გადასვლაზე დაითანხმოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ჯენარო გატუზო: „არსენალთან ბევრი შეცდომა დავუშვით“



მილანის მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა არსენალის წინააღმდეგ შეხვედრაში ბევრი შეცდომა დაუშვა და მარცხიც ამის ბრალია.

მილანი საკუთარ მოედანზე 0:2 დამარცხდა და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი თითქმის ბოლომდე დაკარგა.

— სამწუხაროა, რომ წავაგეთ, მაგრამ არსენალი ძლიერი გუნდია და მის წინააღმდეგ ამდენი შეცდომის დაშვება არ შეიძლება. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა და მომავალ შეხვედრებზე ვიფიქროთ. მსგავსი შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს, — განაცხადა ჯენარო გატუზომ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მითითება, რჩევა-დარიგება, რომელსაც უტოვებენ შთამომავლობას; 2. ციური სხეული; 3. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 4. რაიონული ცენტრი კახეთში; 5. სისხლის თხევადი ნაწილი; 9. ეგვიპტის დედაქალაქი; 10. სამთო-სათხილამურო კურორტი სლოვენიაში; 14. სიმღერისა და ცეკვის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმაციების შემსწავლელი გეოლოგიის ნაწილი; 16. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა; 19. ღვინისა და ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 20. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 21. დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

**თარაზულად:** 6. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 7. საქართველოში გავრცელებული წითელი, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 8. ტბა სომხეთში; 11. სხეულის რომელიმე ნაწილის ნატურალური სიდიდის მოდელი თვალსაჩინოებისთვის; 12. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 13. უღელტეხილი კახეთში; 17. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. კოსმონავტის ჰერმეტული კოსტიუმი; 22. უფოთლო, ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 23. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 24. ჩეჩნებისა და ინგუშების სახელწოდება ძველად საქართველოში; 25. პირველი კოსმონავტი.



**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**